# სარბიელი

სპორტული გაზეთი  გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან  ხუთშაბათი, 17 ივლისი  1997 №82 (447)  ფასი 40 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ყაველა მტრებთან წავიდა



გუშინ ციურიხიდან თბილისს დაბრუნდა მიშა ყაველაშვილი. ამ ფეხბურთელის უიღბლო ბოლო სეზონზე ბევრი ვთქვით და ახლა აღარ გავიმეორებთ. და აი, მიშა შვეიცარიის უპოპულარესი კლუბის, ჩვენთვის ავადსახსენებელი ციურიხის „გრასჰოპერის" წევრია: ორი დღის წინ ყაველამ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი კლუბთან, რომელმაც 1977 წელს უეფას თასზე თბილისის „დინამო" საშინლად დაამარცხა. ამას ვინლა ჩივის — მიშას თანაკლუბელი იქნება შარშან საქართველოს ნაკრების გამანადგურებელი, დევაძის კარში სამი გოლის გამტანი ვიორელ მოლდოვანი. მოკლედ, ყაველაშვილი ჩვენს მტრებს შეეკრა.

ხუმრობა იქით იყოს და, მართლაც სასიხარულოა, რომ მიშამ თავი დააღწია „მანჩესტერ სიტის" მოჯადოებულ წრეს. თუმცა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, დროებით დაშორდა — იგი ისევ „სიტის" საკუთრებაა და „გრასჰოპერმა" ერთი წლით ითხოვა. ინგლისურ და შვეიცარიულ კლუბებს შორის არსებული ხელშეკრულებით, თუ ამ სეზონში ქართველის თამაში ციურიხის გუნდის თავკაცობას დააკმაყოფილებს, მომავალ ზაფხულს მილიონ დოლარს გადაუხდის „სიტის" და მიშას მფლობელიც შეიქნება.

ახლა საქართველოს ნაკრების ფორვარდი თბილისშია და შვეიცარიაში მუშაობის უფლების მიღებას ელის. ეს ფორმალობა ორიოდ კვირაში უნდა მოგვარდეს და სავარაუდოდ, ყაველაშვილი თავის ახალ კლუბში პირველ მატჩს 9 აგვისტოს ითამაშებს.

სხვა ახალი ამბები საყოფაცხოვრებო ხასიათისაა: ბინას მიშა და მისი მეუღლე თამუნა ციურიხში მეორედ ჩასვლისას ამოირჩევენ, ახალი მანქანის გასაღები კი უკვე ყაველას ჯიბეში ჩხრიალებს — როგორც შევიტყვეთ, „ფორდის" ჯიპისა.

## აიაქსური და შოთური ტრადიციები

ამსტერდამის „აიაქსს", სხვა უამრავთან ერთად, ერთი კარგი ტრადიციაც გააჩნია — სეზონის დაწყების წინ ეს ლეგენდარული გუნდი მშობელ ქვეყანაში კარდაკარ დაიარება და საქველმოქმედო მატჩებს ატარებს, უმეტესად, პაწაწკინტელა ქალაქებისა და სოფლების გუნდებთან. ივლისში ასეთი უკვე ორი შეხვედრა გაიმართა და სანამ „აიაქსი" 26 ივლისს ლივერპულის ოთხთა ტურნირის პირველ დღეს „ევერტონს" შეხვდება, კიდევ ორი გაიმართება. პირველი, გეხსომებათ, ამსტერდამელებმა 6:0 მოიგეს და ერთი ბურთი შოთა არველაძემ გაიტანა, სამშაბათს აიაქსელები მოყვარულთა გუნდ „ჯერმანიკუსს" ესტუმრნენ და 3-ათასიან სტადიონზე შეკრებილი 5 ათასი კაცი გვარიანად ასეირეს. ცხადია, ასეთ მატჩებს არაჰოლანდიური საინფორმაციო საშუალებანი ნაკლებ ყურადღებას აქცევენ, ამიტომ სამშაბათის მატჩის ამბავს ისევ „აიაქსის" პრეს-ატაშეს ერიკ ვან ლეუვენს დავეკითხე.

— კაცო, ეს თქვენი ქართველი მართლაც ჩინებული მოთამაშე ყოფილა — მისალმების შემდეგ უმალვე „მაცნობა" ერიკმა. — ისეთი გოლი გაიტანა, ყველანი აღფრთოვანებულები დავრჩით. ეს მისი მეორე გოლი იყო: მიქაელ ლაუდრუპს კედელი გაუთამაშა, ოღონდ ბურთი ოდნავ გვიან, უკვე საჯარიმოში შესულმა და კარისკენ ზურგით მდგარმა მიიღო. უკან მცველი ედგა. ჰოდა, შოთამ იმ საწყალს რაღაც საოცარი ფინტი გაუკეთა და შორეულ კუთხეში დაარტყა. ცხადია, თამაში დიდი ანგარიშით მოვიგეთ — 13:0, და შოთას ორი გოლი არავის გაკვირვებია, მაგრამ ერთს დავუმატებ: მეორე ტაიმში მის ნაცვლად შესული ჯერალდ სიბონი, ვინც თქვენებურის მთავარ კონკურენტად ითვლება ცენტრფორვარდის ადგილზე, ნამდვილად ახლოსაც ვერ მივა შოთასთან.

კარგია, თუ მორტენ ოლსენიც ასე ფიქრობს, თუმცა ყველაფერს დრო და ჰოლანდიის ახალი, 19 აგვისტოს დასაწყები ჩემპიონატი გვიჩვენებს.

**დავით მჭედლიშვილი ლონდონიდან**

## კანდელაკი მაინც დაბრუნდა!

გიორგი კანდელაკისას ვერაფერს გაიგებ კაცი: ჯერ იყო და, 19 წლისამ ევროპის ჩემპიონატი მოიგო, მსოფლიოს ჩემპიონატზე და თასზე მეორე-მესამე ადგილები დაიკავა და საქართველოს საუკეთესო მოკრივის სახელი დაიგდო. ყველა დიდი იმედით შესცქეროდა 21 წლის ჭაბუკს, მაგრამ გიორგიმ სხვაგვარად განსაჯა: დაოჯახებულ კაცს მუშტების ქნევა არ შემშვენის, ჩემი წილი მედლები უკვე მოვიგეო. ბევრს ეხვეწნენ, დარჩი, წინ დიდი გამარჯვებები გელისო, მაგრამ ამაოდ — გიორგიმ ვარიანში კრივის უზარმაზარი კომპლექსის მშენებლობას მიჰყო ხელი და ახალბედა მოკრივეთა დაფრთიანება დაიწყო, ქვეყნის ჭაბუკთა ნაკრებიც ჩაიბარა. მაგრამ გიორგის სიჯიუტემ მხოლოდ ერთ წელს გასტანა — კანდელაკი დაბრუნდა!

კანდელაკი დაბრუნდა, მაგრამ 91 კილოგრამის ნაცვლად მძიმე წონაში, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დაუძინებელი მტერი, მსოფლიოს ექვსგზის და სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი, კუბელი ფელიქს სავონი უბრძოლველად ჩამოიცილა გზიდან. სავონის ნაცვლად მძიმე წონაში კანდელაკის მთავარი კონკურენტი რუსი ლეზინი იქნება, ატლანტის ოლიმპიადის ჩემპიონმა, უკრაინელმა კლიჩკომ კი პროფესიული კრივი ირჩია, რაც გიორგის ბევრად გაუიოლებს საქმეს. კანდელაკის კრივში დაბრუნებას, უმთავრესად, მის მეუღლეს ნინო ყანჩაველს უნდა ვუმადლოდეთ. ნინოს ყოველდღიურმა ჩიჩინმა — გიორგი, დაბრუნდიო — შედეგი გამოიღო. რა თქმა უნდა, დიდი წვლილი გიორგის „მეორედ მოსვლაში" მის პირად მწვრთნელს ავთო შოშიაშვილსაც მიუძღვის. კრივის ფედერაციის თავკაცებმა, გიორგის მეგობრებმა და ვარიანელებმაც შეაწიეს სიტყვა „გზასაცდენილ" ახალგაზრდას და საწადელსაც მიაღწიეს.

გიორგიმ ახლახან ვარჯიში დაიწყო. ბუნებრივია, მოქმედი სპორტსმენი ვეღარ შეძლებს ჭაბუკთა ნაკრების თავკაცობას და ამას კანდელაკი, ალბათ, შეელევა. აი, კომპლექსის მშენებლობას და ახალგაზრდა გორელ მოკრივეთა წინამძღოლობას კი კვლავაც აპირებს.

ბუნებრივია, მავანი იკითხავს — შეძლებს კი ერთწლიანი შესვენების შემდეგ წონაშეცვლილი გიორგი კანდელაკი მოკრივეთა მსოფლიო ელიტაში ადგილის დამკვიდრებას? ამ კითხვაზე ავთო შოშიაშვილი ასე გიპასუხებთ: „გიორგი უნიჭიერესი ბიჭია, საქმის ერთგულია და ღალატი არ უყვარს. რაკი კრივში დაბრუნება გადაწყვიტა, მჯერა, ძველებურად გაირჯება. ეჭვი არ მეპარება, გიორგი კვლავაც არაერთხელ იტყვის თავის სიტყვას".

მოკლედ, გიორგი კანდელაკმა ეშმაკს ზურგი აქცია და თავის საყვარელ საქმეს დაუბრუნდა, საქმეს, რომელსაც მუდამ უზადოდ აკეთებდა. მოდით, ნუ ვიტყვით, კანდელაკი წონის შეცვლით სავონს გაექცაო, თუმცა, არც უმაგისობაა. მთავარია, გიორგი კანდელაკი დაბრუნდა და მრავალ გამარჯვებას გვპირდება.

**ლევან ჯავახიშვილი**

## დავით ხახალეიშვილი: თბილისში ნუ მაჭიდავებთ

— „ოლიმპიური, მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონი, ქუთაისის რეგიონალური საბაჟოს უფროსის მოადგილე დავით ხახალეიშვილი, თურმე, სპორტიდან წასვლას აპირებს. საბაჟოს ხელმძღვანელთა თხოვნას მხარის ხელმძღვანელიც შეუერთდა და მათ ერთობლივი ძალისხმევით სცადეს, გადააფიქრებინონ ხახალეიშვილს აღნიშნული გადაწყვეტილება. როგორ მოიქცევა იგი, ამას მომავალი საერთაშორისო ტურნირები გვიჩვენებს" — ეს ინფორმაცია გუშინ გაავრცელა სააგენტო „აიამ".

უახლოესი საერთაშორისო ტურნირი კი თბილისისაა, რომლის შეკრებაზე ჩამოსულმა ქუთაისელმა ძიუდოისტებმა გვითხრეს — ამბობენ, დათოს სამსახურში აწინაურებენ და ამის გამო ძიუდოსთვის თავის მინებებას აპირებსო.

— „ხახალეიშვილი არსად დაუნიშნავთ, კვლავ ქუთაისის საბაჟოს უფროსის მოადგილეა. მან მითხრა, რომ თბილისის ტურნირს არ იჭიდავებს, მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონატისთვის მოემზადება. საქართველოს საბაჟო დეპარტამენტის უფროსმა თენგიზ აბულაძემ, იმერეთის გუბერნატორმა თემურ შაშიაშვილმა და მე დათოს ხელშეწყობა და თანადგომა აღვუთქვით, ოღონდ ნორმალურად მოემზადოს და იჭიდავოს" — გვითხრა გუშინ ტელეფონით სეოკ-ის იმერეთის რეგიონალური ბიუროს თავმჯდომარემ რეზო რობაქიძემ.

თავად ხახალეიშვილი გუშინ ვერ მოვიხელთეთ — სამსახურის საქმეების გამო გორში წასულიყო, ამიტომ გვიან ღამით ქუთაისში მის მწვრთნელს ომარ მერაბიშვილს დავუკავშირდით:

— „თავიდანვე გეტყვით, რომ დათო სპორტისთვის თავის დანებებას არ აპირებს. როგორც კი მსგავსი ჭორები აგორდა, შევხვდი მას და ვესაუბრე. ამბობს, არსად მივდივარ, ოღონდ თბილისის ტურნირს ნუ მაჭიდავებენო. შემდეგ კი ნებისმიერ შეჯიბრებაზე გამოვალ, რითაც მსოფლიო ჩემპიონატისთვის მოსამზადებელ ეტაპს გავივლიო. თავად კი ამბობს ასე, მაგრამ ნაკრების მთავარი მწვრთნელი შოთა ხაბარელი კატეგორიულად ითხოვს ხახალეიშვილისგან თბილისის ტურნირზე გამოსვლას. წინააღმდეგ შემთხვევაში მსოფლიოზე შეიძლება არ წაიყვანოს. დღეს ხაბარელს ტელეფონით ვესაუბრე. მითხრა — შეკრების ბოლო დღეებისთვის მაინც ჩამოვიდეს და ტურნირზე აუცილებლად იასპარეზოსო. არ ვიცი, რა იქნება. მე ყოველმხრივ ვეცდები ხახალეიშვილის დაყოლიებას."

რაკი ერთი ჭორი უკვე მოშორებულია — ხახალეიშვილი სპორტში რჩება — შეიძლება სხვა რამეზეც ვიფიქროთ. არის მეორე მომენტიც — ხაბარელის განთქმული პრინციპულობა. სავსებით შესაძლებელია, მან აასრულოს დანაპირები და ხახალეიშვილი მსოფლიოს ჩემპიონატს მიღმა დატოვოს. არა, ხაბარელმა სხვებზე გაცილებით უკეთ, შესაძლოა, ყველაზე უკეთ იცის ხახალეიშვილის ფასი, მაგრამ, გავიმეორებთ, მისი პრინციპულობის ამბავიც ყველას კარგად მოეხსენება.

რა გაგრძელებები შეიძლება ჰქონდეს ამ საქმეს? ხახალეიშვილმა შეიძლება მსოფლიოს ჩემპიონატი გამოტოვოს. ამით არავინ მოიგებს — არც გუნდი, რაც გულშემატკივარი, არც ძიუდოს სამყარო და არც თავად ძიუდოისტი, რადგან თავის ბრწყინვალედ დაწყებული დიდი კარიერის ღირსეულად გაგრძელების საშუალება მოესპობა. არადა, დათო სულ 26 წლისაა და პლანეტაზე არსებული ყველა ოფიციალური შეჯიბრება მოუგია მსოფლიოს ჩემპიონატის გარდა. უგუნური იქნება ის, ვინც არ დაიჯერებს: სათანადო მომზადების შედეგად ხახალეიშვილს რეალურად შეუძლია მსოფლიოს ჩემპიონატის „ოქროს" დასაკუთრება.

მაგრამ არსებობს მეორე მხარეც: ხახალეიშვილმა არ იჭიდავა პარიზის ტურნირი, ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედლისთვის ბრძოლა შუა გზაზე მიატოვა. ცხადია, ამას არავინ მოუწონებდა. აკი დაიმსახურა კიდეც ნაკრების და სპორტის ხელმძღვანელთა გულისწყრომა.

და მაინც — ხახალეიშვილი უნიჭიერესი ძიუდოისტია. ამგვარებს კი უცნაური ხასიათი აქვთ. იმედია, სანამ საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებდეს, დათო კარგად აწონ-დაწონის შექმნილ სიტუაციას და ისე გაირჯება, როგორც მისი დონის პიროვნებასა და სპორტსმენს შეჰფერის. ვფიქრობთ, ასევე მოიქცევა შოთა ხაბარელიც, ოლიმპიური ჩემპიონი, ხახალეიშვილის მეგობარი და კაცი, რომლისაც დათოს ძალიან სჯერა. სავარაუდოა, რომ ორი ოლიმპიური ჩემპიონი ისეთ გადაწყვეტილებას მიიღებს, რომელიც ქართულ ძიუდოს კარგის მეტს არაფერს მოუტანს.

## განშორების ანატომია



თემურ მახარაძე და ნუგზარ ნავაძე: რა მოხდა, ზუსტად არავინ იცის

თბილისის აეროპორტი. 14 ივლისის ღამის პირველის თორმეტი წუთი. „რიდთან" გამარჯვების შემდეგ „მერანი" ავსტრიიდან თბილისში დაბრუნდა. სახეზე ყველას სიხარული აღბეჭდვია. მხოლოდ პრეზიდენტი და მთავარი მწვრთნელი გამოიყურებიან მოღუშულნი. მალე ნავაძემ მახარაძე გამოიხმო. ოდნავ ხმამაღლა საუბარი და... ნათელია — მთავარი მწვრთნელი მოხსნეს. ნავაძე და მახარაძე ყოველგვარი აყალ-მაყალის გარეშე დაშორდნენ ერთმანეთს. გარეგნულად მოულოდნელ განშორებას სინამდვილეში კარგა ხნით ადრე მომწიფებული საფუძველი აქვს. ჯერ კიდევ ჩემპიონატის მსვლელობისას მახარაძეს ორჯერ სურდა „მერანის" დატოვება. დაწოლა მაქვს გუნდიდან გაშვებული და სათადარიგოებში მყოფი მოთამაშეებიდანო, ამბობდა. „ბათუმთან" მატჩის შემდეგ ერთ-ერთ მწვრთნელთან, გიორგი ჯიშკარიანთან კონფლიქტის გამო დროებით დაშორდა კიდეც გუნდს. თავად პრეზიდენტისა და მოთამაშეთა დიდი ნაწილის თხოვნით მერე მაინც დაბრუნდა. თუმცა, „მერანში" კვლავ იჩინა თავი უთანხმოებამ. მოთამაშეთა ნაწილი უკმაყოფილო იყო სათადარიგოთა სკამზე ჯდომით. ინტერტოტოზე გასვლის შემდეგ უსიამოვნებები გახშირდა. პრეზიდენტსა და მწვრთნელს შორისაც იჩინა თავი გაუგებრობამ. ნავაძეს გამუდმებით ჩასჩიჩინებენ, რომ მახარაძე პირადი სიმპათიების მიხედვით სწყალობს მოთამაშეთა ერთ ნაწილს, მეორენი კი იჩაგრებიან და კიდევ ათას რამეს. თავიდან ნავაძე არ იჯერებდა, რადგან შედეგი მახარაძის სასარგებლოდ მეტყველებდა.

შემდეგ იყო საბერძნეთში „მერანის" ოდისეა, რაც ჩვენს გაზეთში აისახა და ნავაძის აღშფოთება გამოიწვია. ყველა ინფორმაცია მოთამაშეთაგან მივიღეთ, ნავაძემ კი გადაწყვიტა, რომ მახარაძისგან მოდიოდა. მერანელთა სალონიკიდან ჩამოსვლის დღეს ჩვენ მართლაც შევეცადეთ, დავკავშირებოდით მახარაძეს, თავად მე სამი საათი შინ ვუცადე, მაგრამ უშედეგოდ. ვიმეორებ, სტატიაში „ბევრი იარეს თუ ცოტა" (3 ივლისის „სარბიელი") თემურ მახარაძეს სიტყვა არ ეკუთვნის იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ მწვრთნელი ვერსად მოვიხელთე და რა საწყენია, რომ ერთ-ერთი მიზეზი, რამაც ნავაძეს საბოლოოდ გადააწყვეტინა ახალი მწვრთნელი ეძებნა, სინამდვილეში არ არსებობს. საუბარი უკვე მაშინვე ყოფილა ჯონი ჯანელიძესთან და გაიოზ დარსაძესთან. აეროპორტში კი ნავაძემ მახარაძეს თავისი გადაწყვეტილება ამცნო. ჩვენ ვთხოვეთ კომენტარი ნავაძეს, მაგრამ უარი გვითხრა, სათქმელს პრესკონფერენციაზე ვიტყვიო. მახარაძემ კი მოკლედ ბრძანა, ჩემი კომენტარი ავსტრიაში უკვე გავაკეთე, გუნდიდან თავაწეული მივდივარო.

ასე რომ, „მერანის" მახარაძისეული ეპოქა დასრულდა. ჩემპიონატში მეოთხე ადგილი და ინტერტოტოზე ორი გამარჯვება ოთხ მატჩში — ასეთია მახარაძის მონაგარი. ამას არც ნავაძე უარყოფს, მაგრამ მაინც განშორება ამჯობინა. რას იზამ, ვისაც ფული აქვს, მუსიკასაც ის უკვეთავს. ნავაძეს კი ახლა ჯანელიძის მწვრთნელობა უჯობს. ღმერთმა ქნას, გამართლებოდეს.

**მერაბ გამულაშვილი**

## ვერ გაივიდნენ...

საქართველოს კალათბურთელ ჭაბუკთა ნაკრებმა ბელგიაში, ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ტურნირზე, ჯგუფში ბოლო ორი მატჩი წააგო გუშინწინ ბერძნებთან და გუშინ სლოვენებთან და საუკეთესო რვა გუნდში ვერ მოხვდა.

იხილეთ მესამე გვერდი

## წუხელ

**ავსტრიის ჩემპიონატი.** II ტური. გრაცი — ლუშტენაუ 3:1, ტიროლი — შტურმი 1:4, ლასკი — რიდი 1:1, რაპიდი — ადმირა 0:0, ზალცბურგი — ავსტრია 0:0.

**დუბლინის ოთხთა ტურნირი.** ფინალი: ნიუკასლი — დერი სიტი 2:0. III ადგილისთვის: ეინდჰოვენი — სელტიკი 2:2 (პ. 5:3)

**შვეიცარია.** გადადებული მატჩები. ქსამაქსი — სერვეტი 1:2, არაუ — სიონი 1:1, ლოზანა — ციურიხი 4:1.

UEFA CUP

## დინამო მნ — კოლხეთი

მინსკი. სტადიონი „დინამო". 23 ივლისი

# გოლების წვიმა მინსკამდე

### ტორპედო 4:3 კოლხეთი

**ქუთაისი. გოგა ნორაკიძის სახელობის „ტორპედოს" საწვრთნელი ბაზა.**

**ტორპედო: კიკალეიშვილი, მაღლაკელიძე, თურმანიძე, გუნაძე, ი. ხუჯაძე, ვ. გოგიაძე (ს. გოგიაძე), ჩხეტიანი (შ. მუმლაძე), ქებაძე, მეგრელაძე (ლომიძე), შენგელია (ჯინჭარაძე), ვაჩიბერაძე**

**კოლხეთი: მ. გვასალია (გოგუა), გიორგაძე (ზამთარაძე), ტორჩინავა, ხვადაგიანი, მ. ქობულაძე (გოროზია), მონასელიძე, ფანჩულიძე (ლალანიძე), კვეტენაძე, დარასელია, დ. მახარაძე, მიქაბერიძე**

**0:1 დარასელია (4), 1:1 შენგელია (33), 1:2 მახარაძე (36), 2:2 ვაჩიბერაძე (55), 2:3 მონასელიძე (65), 3:3, 4:3 (73, 82)**

**მსაჯი: გ. მიქაუტაძე (ქუთაისი)**

მინსკის „დინამოსთან" უეფას ტურნირის პირველი მატჩისთვის „კოლხეთი" მართლაც სერიოზულად ემზადება. ბულგარეთიდან დაბრუნებული ფოთელები შინ, „ფაზისის" სტადიონზე გადიან წვრთნას — დილა-საღამოს ინტენსიურად, სრული დატვირთვით ვარჯიშობენ. საქმეში უკლებლივ ყველა ფეხბურთელია ჩართული. ორშაბათს მათ გიორგი დარასელიაც შეუერთდა. მაგრამ ვარჯიში ვარჯიშია და ყოფილ „ძმებთან" შესახვედრ სამზადისში კოლხთა მწვრთნელმა სოსო ფილიამ კიდევ ერთხელ მოისურვა თავისი გუნდის თამაშში ნახვა, რათა მზადყოფნაში საბოლოოდ დარწმუნებულიყო. სპარინგ-პარტნიორად ფოთელებმა „ტორპედო" აირჩიეს და გუშინწინ ქუთაისს ეწვივნენ. გენერალური რეპეტიცია ტორპედოელთა საწვრთნელ ბაზაზე შედგა. საკონტროლო მატჩის პერიპეტიების დაწვრილებით აღწერას არ შევუდგებით, იმას კი ვიტყვით, რომ თამაში თავიდან ბოლომდე მაღალ ტემპში წარიმართა. მეტოქეები ფიზიკურად კარგად მომზადებულები ჩანდნენ. აი, ტექნიკური არსენალის გამოვლინება კი ერთსაც გაუჭირდა და მეორესაც. ამაში მოთამაშეებზე მეტად სველი, ალაგ-ალაგ დატბორილი მინდორი იყო დამნაშავე, თამაშს ხომ გადაუღებელი, კოკისპირული წვიმაც დაერთო.

პირველ ტაიმში მცირე უპირატესობას სტუმრები, ჩემი აზრით, ისევ და ისევ დარასელიას კარგი თამაშის წყალობით ფლობდნენ. რა ეშველებათ უმისოდ ფოთელებს, არ ვიცი. გიორგი კვლავაც შეუდარებელი იყო: დარასელიამ ჯერ თვითონ გაიტანა ოსტატურად, მერე კი მახარაძესაც მისცა ჩინებული საგოლე პასი. თუმცა, მანამდე ანგარიში შენგელიამ გაათანაბრა, მისი კარში დარტყმული ბურთი ერთ-ერთ მცველს მოხვდა და ისე აღმოჩნდა ბადეში. ყველა სხვა შეტევა მეტოქეებმა მეორე ტაიმში განახორციელეს. ამჯერად ოდნავი უპირატესობა მასპინძლებისა იყო და თუ ეს რაიმეს ნიშნავს, თამაში, რომელსაც ჩვეული სიმკაცრით (რამდენჯერმე „აანთო ყვითელი") გრიგოლ მიქაუტაძე სჯიდა, გამარჯვებამდე მიიყვანეს. არ შეიძლება, არ გამოიყოს ქებაძის პირველი გოლი — გატანილი ულამაზესი დარტყმით.

მატჩის შემდეგ სოსო ფილიამ ბრძანა:

— პირველ ნახევარში ისე ვმოქმედებდით, როგორც მინსკში გასვლითი თამაშისთვის გვაქვს გათვლილი. მეორე ტაიმი კი განსხვავებული ტაქტიკით წარვმართეთ. შეცვლებიც იმიტომ გავაკეთე, მინდოდა, ყველა ფეხბურთელი გამესინჯა.

**— მთლიანობაში როგორ შეაფასებთ „კოლხეთის" თამაშს?**

— დამაკმაყოფილებლად.

**— დამატებულ ფეხბურთელებზე რას იტყვით?**

— მგონი, კარგად გაართვეს თავი საქმეს. ასეა. ყველა რიგიანად გაისარჯა.

**— კვეტენაძეს ფართო ფრონტზე უწევს თამაში. მინსკში სად აპირებთ მის გამოყენებას?**

— უკვე დავასკვენი, რომ საყრდენი ნახევარმცველის ადგილზე უფრო ძლიერია. დარასელიას კი წინ წავწევთ.

**იუზა ქაციტაძე**

# ლეხაიმ, ძუკუ!

## ანუ „სარბიელმა" რა ჰქმნა

**გასრულდა თუ არა ჩვენი ჩემპიონატი,**

**გიორგი დარასელია**

**მაშინვე საქართველოდან გაუჩინარდა. კოლხი ფეხბურთელი შარშანაც ეცადა რომელიმე უცხოურ კლუბში გადაბარგებას, მაგრამ სასურველი პირობების შემომთავაზებელი რომ ვერ მოიძია, ისევ საქართველოში, ფოთში დარჩა ერთი წლით. ახლა მის კონტრაქტს „კოლხეთთან" ვადა გაუვიდა და დარასელია თავისუფალ აგენტად ითვლება. ოღონდ, ეგ არის, იმავე კონტრაქტით გუნდს უეფას თასის ორ მატჩში უნდა დაეხმაროს. ამის შემდეგ კი... დიახ, დარასელიამ, ბელგიასა და ჰოლანდიაში რომ აპირებდა ბედის ძებნას, მოულოდნელად ისრაელში ამოყო თავი და ახლა უკვე იქაური უმაღლესი ლიგის თელ-ავივის (და არა ჰაიფის როგორც წინა „სარბიელში" „კოლხეთის" მესვეურთა ინფორმაციაზე დაყრდნობით ვიუწყებოდით) „ჰაპოელის" მოთამაშედ ითვლება.**



ბადრი ძითილაძის ფოტო

**— ისრაელში როგორ აღმოჩნდი?**

— სრულიად შემთხვევით. დამიკავშირდნენ და მთხოვეს, ჩავსულიყავი. დაუფიქრებლად გავემგზავრე.

**— ვინ გაგიწია შუამავლობა?**

— ვინ და, თქვენმა გაზეთმა.

**— როგორ?**

— საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვა ხომ ჩაატარეთ?

**— ჩავატარეთ.**

— მესამე ადგილზე ხომ აღმოვჩნდი?

**— აღმოჩნდი.**

— ჰოდა, „სოვეტსკი სპორტს" გადაუბეჭდია თქვენი გამოკითხვის შედეგები. ისრაელში ამ გაზეთს თურმე ბევრი მკითხველი ჰყავს. თელ-ავივის „ჰაპოელის" მესვეურთაც უფიქრიათ, ქინქლაძეზე წინ დააყენეს და მოდით, ვნახოთ, ვინ არის ეს კაცი, იქნებ გამოგვადგესო. ჩაველი და წინასწარ შეთანხმებაზე უკვე ხელიც მოვაწერე. მოკლედ, გადაწყვეტილი საქმეა. როცა ჩაველი, რამდენიმე ვარჯიშზე მნახეს, მერე კარგი პირობები შემომთავაზეს და შევთანხმდით.

**— კონტრაქტს როდის გააფორმებ?**

— კონტრაქტი ერთწლიანია. როგორც კი მეორედ ჩავალ ისრაელში, მაშინვე მოვაწერ ხელს.

**— შენს გუნდს ისრაელის ჩემპიონატში 16 გუნდს შორის მე-13 ადგილი დაუკავებია. ე.ი. სუსტი ყოფილა. გაწყობს ასეთ გუნდში თამაში?**

— ერთი რომ პირობები კარგი შემომთავაზეს, მეორეც ახალ გათამაშებაში, 2 აგვისტოს რომ იწყება, გუნდი ჩემპიონობას აპირებს.

**— მე-13 ადგილიდან პირველზე გადახტომას? დაუჯერებელია.**

— ნუ გიკვირთ. გუნდი შემადგენლობას აძლიერებს. კიდევ რამდენიმე ლეგიონერი ჰყავს. „ჰაპოელი" ახლა ჰოლანდიაშია ორკვირიან შეკრებაზე. მე იქ ერთი კვირა დავყავი და იქიდან პირდაპირ ფოთში დავბრუნდი.

**— ე.ი. მიდიხარ.**

— მივდივარ, მაგრამ მანამდე „კოლხეთს" მინსკის „დინამოსთან" თამაშებში უნდა დავეხმარო. მინდა ერთხელაც გავახარო ჩემი გულშემატკივრები.

**იუზა ქაციტაძე**

# ყოფნა, არყოფნა! საკითხავი ეს ჯერ არ არის

ზუსტად ერთი წლის წინ, 1996 წლის 17 ივლისს, ზესტაფონის „მარგვეთს" დებიუტი ჰქონდა უეფას თასზე. პირველი, გასვლითი თამაშის შედეგმა მალტურ „შლემა უონდერერზთან" თაყვანისმცემლებს იმედი ჩაუსახა, რომ გუნდი თავის ისტორიაში ოქროს ასოებით ჩაიწერდა კუნძულელებთან პაექრობას. ვერავინ იფიქრებდა, თვით ყველაზე გამოუსწორებელი პესიმისტიც კი, იმას, რაც მარგველებმა თავს დამართეს. და ის, რაც თითქოს საამაყო და სასახელო უნდა გამხდარიყო, დიდ შავ ლაქად გადაიქცა, მკვეთრად დააჩნდა და კარგა ხანს გაჰყვება გუნდს. ამ მატჩის შესახებ ბევრი დაიწერა და კვლავაც დაიწერება. დროის გადასახედიდან, ალბათ, კიდევ უფრო გაშიშვლდება და გამოჩნდება ამ მართლაც სამარცხვინო მარცხის მიზეზები, მაგრამ აქ მათ ძიებას არ შევუდგებით. ერთის თქმა კი გადაჭრით შეიძლება: არ ვიცი, ვინ რას ფიქრობს, მე კი მგონია, „მარგვეთის" უკიდურესად შეჭირვებული ყოფის საბაბი სწორედ ამ მატჩში ძევს. როგორ? რარიგ შეიძლება ერთი მატჩის შედეგმა, თუნდაც ასეთი დონისამ, საბედისწერო გავლენა იქონიოს გუნდის მომავალზე? დავიწყოთ მათგან, ვინც რატომღაც ყოველთვის ყველას ავიწყდება — გულშემატკივრები. არ უნდა ბევრი კამათი იმას, რომ ფეხბურთი, რაც უნდა დიდი ბიზნესი იყოს, მაყურებლებისთვის არსებობს. მათ გარეშე ფეხბურთი ფეხბურთი ვერ იქნება და, რასაკვირველია, ვერც დიდ, ანაც უბრალოდ ბიზნესად გადაიქცევა.

დიდმა მარცხმა „მარგვეთის" მოყვარულთ უდიდესი მწუხარება მოუტანა, გნებავთ, სირცხვილიც აჭამა. და აიცრუა ხალხმა გული. უმძიმდათ, ვერ იჯერებდნენ მომხდარს. მერე ათასი ჭორმართალი, მითქმა-მოთქმა. თხის ქონში გავლებული ღვედივით მოქნილი ენაც ხომ სწორედ ასეთი ხალხისთვის მიუცია ღმერთს. გუნდი რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვა. მალე მთავარი მწვრთნელიც გადააყენეს, მაგრამ მან ინერციით თუ პრეზიდენტ ვასო ხაჭაპურიძის ძალისხმევით პირველ წრეში კვლავ საევროპოდ გაიბრძოლა. და ეს მაშინ, როდესაც კლუბის ხაზინა ცარიელი იყო. ბიჭები უხელფასოდ თამაშობდნენ. რა თქმა უნდა, ვაჟკაცობდნენ, მაგრამ როდემდე? ახლა ბევრი „მარგვეთის" წელში გატეხვას პრეზიდენტის დატუსაღებას აბრალებს, მაგრამ თუ კარგად გავიხსენებთ, ვნახავთ, რომ სანამ ხაჭაპურიძე თავისუფლად სუნთქავდა, მეორე წრის დაწყებამდე ძირითადის შვიდი ფეხბურთელი წავიდა გუნდიდან. ეს კი, დამეთანხმებით, არც ერთ დალხინებულ გუნდში არ ხდება. ეჭვგარეშეა, პრეზიდენტის დაპატიმრებამ „მარგვეთს" მთლად დარია ხელი. ვასილ ხაჭაპურიძეს ხომ ლომის წილი მიუძღვის, „მარგვეთმა" თავის ისტორიაში უდიდეს წარმატებას რომ მიაღწია — საქართველოს ჩემპიონატის ვერცხლის მედლებთან ერთად უეფას თასის საგზურიც მოიპოვა. მაგრამ ფეხბურთი რომ მხოლოდ უეფას თასის გათამაშება არ არის და უამრავი ნიუანსი ახლავს, ყველას კარგად მოეხსენება. ჯერ კი, მოდით, თვალი გადავავლოთ, თუ რა მემკვიდრეობა დაუტოვა მრავალი ათასი ლარ-დოლარის დამხარჯავმა ხაჭაპურიძემ გუნდს.

„მარგვეთის" საწვრთნელი ბაზა სოფელ ვაჭევში ისეა გავერანებულ-გაპარტახებული, რომ მისი შესყიდვის თუ იჯარით აღების მსურველი ბიზნესმენი ნახვისთანავე მტკიცე უარზე დგება. კლუბის კუთვნილი ავტობუსი კი, როგორც გაირკვა, ვალებმა შთანთქა. კლუბს არ გააჩნია რაიმე საბაზო საწარმო, ან ბენზინგასამართი სადგური, ან თუნდაც ერთი სავაჭრო ჯიხური. ხაზინა არც სტადიონზე გაყიდული ბილეთების საფასურით ივსებოდა, ვინაიდან იგი ფეროშენადნობთა ქარხნის საკუთრებაა. მოკლედ, არ არსებობდა არავითარი საფეხბურთო მეურნეობა. ქართული კლუბების შემოსავლის ერთადერთი წყარო — ფეხბურთელთა ყიდვა-გაყიდვაც კი — საერთოდ არ ჰქონდათ პრაქტიკაში. არც ერთ სხვა გუნდში გადასულ ფეხბურთელში „მარგვეთს" არანაირი კომპენსაცია არ მიუღია. უბრალოდ, არც მოუთხოვია. რატომ?

გასაკვირი არ არის, რომ „მარგვეთი" ფინანსურ კრიზისს განიცდის. გუნდი ფაქტობრივად დაიცალა ფეხბურთელებისგან, თუმცა, აგერ ორ კვირაზე მეტია, მეორე მწვრთნელის დავით ბებიაშვილის ხელმძღვანელობით, ვეტერანებთან ერთად ახალგაზრდა ფეხბურთელებიც, წინა ჩემპიონატში თურჯოლის „საპოვნელაში" რომ გამოდიოდნენ, ემზადებიან. ემზადებიან და იმედის თვალი ზესტაფონის რაიონის გამგეობისკენ მიუპყრიათ. გამგებელმა, ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა და გულშემატკივართა კლუბმა თხოვნის წერილით მიმართა სააქციო საზოგადოება „ფეროს" მმართველი კომპანიის ხელმძღვანელობას, დახმარება გაეწიათ გუნდისთვის. როგორც ცნობილი გახდა, ამ მსხვილ საწარმოს, შექმნილი ეკონომიკური სიტუაციიდან გამომდინარე, ამ ეტაპზე დახმარება არ ძალუძს. თუმცა, არსებობს სიტყვიერი შეთანხმება, რომ თუ უახლოეს ხანში საწარმო დიდი სიმძლავრით ამუშავდება, კომპანია არათუ დაეხმარება, საკუთარ ფრთებქვეშ შეიფარებს გუნდს.

„მარგვეთის" გულშემატკივრებს ისღა დარჩენიათ, დღენიადაგ ფეროშენადნობთა ქარხნის ეკონომიკურ გაძლიერებაზე ილოცონ, რათა გუნდს საბოლოოდ გამოუჩნდეს სოლიდური, ფეხზე მყარად მდგომი პატრონი. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ სწორედ სააქციო საზოგადოება „ფეროს" მმართველი კომპანიის ფინანსური დახმარების წყალობით ჩაამთავრა „მარგვეთმა" გასული სეზონი. სხვაგვარად შუა გათამაშებიდან გამოეთიშებოდა ჩემპიონატს.

დახმარებაზე საუბარი მომავლის გეგმებია, ახალი სეზონი კი უკვე კარს მოგვადგა — გადასაჭრელია უამრავი პრობლემა. რაიონის გამგეობამ ამჯერად ზესტაფონში არსებული ორი დამოუკიდებელი ტელეკომპანიის საშუალებით მიმართა კომერციულ სტრუქტურებს, წარმოება-დაწესებულებებს, ბიზნესმენებს და მოსახლეობას, ესოდენ დიდი გაჭირვების ჟამს გუნდისთვის დახმარების ხელი გაეწვდინათ. და როგორ გგონიათ?

ერთ-ერთი რიგითი გულშემატკივარი: „ფული თავზე საყრელად რომ მქონდეს, მაგათ მაინც ერთ თეთრსაც არ მივცემ."

რა მოხდა? ასე რამ გააავა და გაახელა ზესტაფონელი გულშემატკივარი? მიზეზი, ისევ და ისევ, უეფას თასის ის ავადსახსენებელი განმეორებითი შეხვედრა და ბოლო სეზონში ჩატარებული რამდენიმე საეჭვო მატჩია. მოწყინდათ, მობეზრდათ ზემოიმერლებს ამდენი თავსლაფი და გაბიაბრუება.

მაშ რა? აღარ იარსებებს „მარგვეთი"?

ზესტაფონის რაიონის გამგებელი ჯემალ გორგოძე: „არამც და არამც არ დაუშვებთ, რომ გუნდმა ჩემპიონატში მონაწილეობა ვერ მიიღოს. სხვა საქმეა, რა დონის იქნება ის და რა მიზნებს დაისახავს, მაგრამ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ გუნდი იქნება. ჭორია და ლაყბობა, თითქოს გამგეობა კლუბს უეფადან ჩამოსულ ფულს ართმევს. მთელი პასუხისმგებლობით ვაცხადებთ, რომ გამგეობა სტადიონის რეკონსტრუქციისათვის დახარჯული თანხის საკომპენსაციოდ იმ ფულიდან ერთ თეთრსაც არ აიღებს. თუ კლუბს სხვა ვალებიც აქვს, არ ვიცი."

„მარგვეთს" ვალები აქვს, როგორ არა აქვს! ამ თანხის ოთხმოც პროცენტზე ოდნავ მეტი სწორედ ამ ვალებს ფარავს, ხოლო დარჩენილი თანხა ფეხბურთელთა დავალიანების ნახევარსაც ვერ ისტუმრებს. ასე რომ, ვერც უეფას ძღვენი იხსნის „მარგვეთს". მთელი იმედები ახლა გამგეობაზეა. მის ძალისხმევასა და უნარზეა დამოკიდებული მთლიანად ზესტაფონის ფეხბურთის ბედი. სხვა პატრონი ჯერჯერობით არ ჩანს.

„მარგვეთმა" უეფას საგზური რომ მოიპოვა, პოეტმა ჯანსულ ჩარკვიანმა და კომპოზიტორმა ვაჟა აზარაშვილმა მას ჰიმნი უძღვნეს. იქნებ თქვენ მაინც იპოვოთ ის დაკარგული სულიკო, მიუმღერეს მათ ბიჭებს. რას გულისხმობდნენ „სულიკოში", ძნელი მისახვედრი არაა, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მათ ოცნებას რომ დიდხანს არ უწერია ასრულება, უდავო ფაქტია. ნეტავ კი ვცდებოდე.

**ბესიკ ჯანბაგაძე ზესტაფონიდან**

P.S. იმედია, მორიგ, „მარგვეთში" შექმნილი ვითარების ამსახველ წერილს, ამ სათაურს დავარქმევთ: „ყოფნა, წრუწუნჯან, ყოფნა!"

## ნემსაძე — პირველი ქართველი სერია A-ში?

„შერანის" ან უკვე ყოფილმა მთავარმა მწვრთნელმა თემურ მახარაძემ გვაცნობა, რომ მას ვენის აეროპორტში გია ნემსაძე უნახავს, რომელიც ზალცბურგელებთან პირობებზე ვერ შეთანხმდა. როგორც მას უთქვამს, იტალიაში მიფრინავდა სერია A-ში დაბრუნებულ „ლეჩეში" გასასინჯად. თუკი ყველაფერი კარგად დასრულდა, ნემსაძე მსოფლიოს უძლიერეს ლიგაში გადასული პირველი ქართველი იქნება.

## ახალკაცს ოპერაცია ესაჭიროება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი შეუძლოდ ყოფილა, ფეხს შეუწუხებია და მკურნალობას საჭიროებს. მალე ფედერაციის თავკაცს ოპერაცია ელის.

## გაგუას კოსტავა შეცვლის

ამას წინათ ვწერდით, საქართველოს 16 წლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გულს რომ შეუწუხებია და სომხებთან წაგებულ თამაშსაც არ ესწრებოდა. ფეხბურთის ფედერაციას კი, თურმე გაგუას ჯანმრთელობის შესახებ უფიქრია და გადაუწყვეტია იგი ნაკრებს ჩამოაშოროს. მის ნაცვლად თამაზ კოსტავა დაუნიშნავთ, რომლის კანდიდატურასაც აღმასკომის უახლოეს სხდომაზე დაამტკიცებენ. თავად გრიგოლ გაგუას თქმით კი, მისი, ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან გადაყენება დროებითია და გამოჯანმრთელების შემდეგ კვლავ უხელმძღვანელებს ჭაბუკებს.

## ალბათ ბათუმიც ტალინში წავა

როგორც შევიტყვეთ, „ბათუმის" ანგარიშზე უკვე ჩარიცხულა თასების თასზე შარშანდელი ასპარეზობისთვის გამოყოფილი 150 ათასი შვეიცარიული ფრანკი, და ფეხბურთელებისთვის ხელფას-პრემიებიც გაუსტუმრებიათ. ეგ კი არადა, ბათუმელები 20 ივლისისთვის ტალინში აპირებენ გამგზავრებას და მომზადებას. ისაც გავიგეთ, რომ „ბათუმიდან" რიგის „სკონტოში" აპირებს გადასვლას დავით გვარამაძე, ხოლო უცხოეთში მყოფი მუჯირი, ტულუში და უჯმაჯურიძე ყველა შემთხვევაში „ბათუმში" ითამაშებენ თასების თასზე. ამათი მეტოქე „არარატი" კი ერევნის შემოგარენში, ძორახპირში გადის შეკრებას, სადაც თურმე „არარატის" ბაზა ყოფილა საბჭოეთის დროს. ბევრი ვეცადეთ „არარატის" თამაშების განრიგი შეგვეტყო სომხეთის ჩემპიონატში, მაგრამ რას ვიფიქრებდით, თუ ჩემპიონატი 26 ივლისს ეწყებათ და კალენდარი ჯერაც გაუმზადებელი ექნებოდათ.

## გზა შინისაკენ

რუსული პირველი ლიგის ტურნირმა ნახევარი გზა განვლო. ვლადივასტოკის „ლუჩიც" ქართველ ლეგიონერებს დავით ნოზაძეს, ირაკლი გიორგობიანს და ზვიად ენდელაძეს კონტრაქტების ვადა გაუვიდათ. მათაც შორეული აღმოსავლეთიდან შინისკენ გამოსწიეს. „ლუჩის" მესვეურთა ხვეწნა მუდარის მიუხედავად ჩვენებურები უკან დაბრუნებას აღარ აპირებენ და თურმე რატომ. ნოზაძეს და გიორგობიანს ერთდროულად ომსკის „ირტიში", ეკატერინბურგის „ურალმაში" და ტომსკის „ტომი" ეპატიჟებიან და კარგ გასამრჯელოსაც სთავაზობენ. ნოზაძეს დამატებითი ვარიანტიც აქვს. როგორც თავად განაცხადა, მშობლიურ „ტორპედოში" დაბრუნების სურვილი აქვს და კლუბის პრეზიდენტ ბესო ჯიქიასთან შეხვედრას ელოდება. შეთანხმდებიან? ნოზაძე კვლავ „ტორპედოს" მაისურს მოირგებს. თუ არა და 19 ივლისს იგი უკვე ტომსკშია ჩასასვლელი მოსალაპარაკებლად.

ექს-ლუჩელ-მარგველი ენდელაძით კი „ოდიშია" დაინტერესებული.

# იგი წავა და...



ჯონი ჯანელიძე: აწი მე გავაჭენებ

15 ივლისს, „მერანის" საერთო კრება რომ გაიმართა, ფეხბურთელებს ახალი მთავარი მწვრთნელი — ჯონი ჯანელიძე წარუდგინეს. მანამდე კი ნავაძემ შეკრებილთ მახარაძის განთავისუფლება აუწყა.

კრებიდან პირველები კახა სიდამონიძე და **გუბაზ დოლიძე** გამოვიდნენ. ეს უკანასკნელი გაოცებას ვერ მალავდა:

— ნათქვამია, გამარჯვებულებს არ ასამართლებენო, ახლა პირიქით მოხდა. პარადოქსული ფაქტია — გამარჯვებული დასაჯეს. რას იზამ, პრეზიდენტმა ასე ჯანსაჯა.

ნავაძესთან მეც მომივიდა უთანხმოება. თურმე, უდისციპლინო ვყოფილვარ. ასეა თუ ისე, ახლა „მერანისგან" თავისუფალი ვარ და კარიერას ან საბერძნეთში, ანაც ლატვიაში გავაგრძელებ.

**დავით ჯიმშერიანი:**

— მახარაძეს მამაჩემთან კონფლიქტი ჰქონდა, ამის გამო მომხდარზე ჩემი საუბარი გაუმართლებლად მიმაჩნია. ჩემგან კომენტარი უხერხულიც კი იქნება.

**ბახვა ამბიძე:**

— კომენტარისგან თავი რომ შევიკავო, ხომ არ გეწყინებათ?

**მიხეილ მაზიაშვილი:**

— ნავაძემ გამარჯვებისთვის ყველას მადლობა გვითხრა და ახალი მწვრთნელი წარმოგვიდგინა. მახარაძის განთავისუფლებაზე კი, არ მიწყინოთ და, არაფერს ვიტყვი.

**სულიკო დავითაშვილი:**

— მახარაძე მართლაც კარგი მწვრთნელი იყო, თუმცა, არა მგონია, ჯანელიძე მასზე ნაკლები იყოს.

**ალეკო გოგობერიშვილი:**

— ნავაძეს დოლიძესთან შელაპარაკება მოუვიდა. თუმცა, სერიოზული არაფერი მომხდარა. რაც შეეხება მახარაძის განთავისუფლებას, ეს, რა თქმა უნდა, პრეზიდენტის გადასაწყვეტია. თუმცა, არა მგონია, რომელიმე მწვრთნელმა მახარაძის მიღწევა გაიმეოროს. ვერ ვიტყვი, მახარაძის ბედი არ მადარდებს-მეთქი, მასთან ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა, მაგრამ რა გაეწყობა, ფეხბურთში ასე ყოფილა — ყოველთვის ვილაც უნდა გაწირონ.

**ბადრი კვარაცხელია:**

— აეროპორტში გავიგეთ ყველაფერი. ვფიქრობ, მიზეზი არა შედეგი, არამედ პირადი ურთიერთობების მოუგვარებლობაა. აბა, შედეგისთვის რატომ უნდა მოეხსნათ? ავსტრიულ გაზეთში ეწერა: უცნობმა ქართულმა გუნდმა ჩვენი ფეხბურთის პრესტიჟი საოცრად შეარყიაო. ვისი დამსახურებაა ეს? რა თქმა უნდა, მოთამაშეებისა და მწვრთნელის, ამიტომ მახარაძის გაშვებას ისევ პირადი ურთიერთობების გამწვავებას მივაწერ, სხვა რამე გამორიცხულია.

**დემურ კაკუბავა:**

— ჩემი აზრით, მახარაძე გუნდიდან არ უნდა წასულიყო, მან „მერანს" წარმატებები მოუტანა. მაგრამ საკითხავია, რა მოხდა მწვრთნელსა და პრეზიდენტს შორის.

„მერანის" ახალ მწვრთნელს ჯონი ჯანელიძეს პირველი ინტერვიუ ჩვენ ჩამოვართვით.

**— როდის შემოგთავაზათ ნავაძემ მწვრთნელობა?**

— „მერანის" ავსტრიაში წასვლამდე ორი დღით ადრე. თემურ მახარაძეს დიდ პატივს ვცემ და თანავუგრძნობ განთავისუფლების გამო, მაგრამ მწვრთნელთა ხვედრი ეს არის — ან გვეძახიან, ან გვიშვებენ. ამიტომ, იმედია, ჩვენს ურთიერთობაში ბზარი არ გაჩნდება. მე მისი მადლიერი ვარ იმისთვის, რომ უდიდესი შრომა გასწია და კარგი საფუძველი დამახვედრა. შევეცდები, მისი დაწყებული ღირსეულად გავაგრძელო.

**— ნუთუ არ ჰკითხეთ ნავაძეს მახარაძის გაშვების მიზეზი?**

— მიზეზზე არაფერი უთქვამს. თუ შედეგით ვიმსჯელებთ, მახარაძე გაშვებას არ იმსახურებდა. ყველაფერი, ალბათ, მათმა პირადმა ურთიერთობამ განაპირობა. ეს ტრაგედია არ არის. სადაც მიმუშავია, შედეგი ყველგან მქონდა, მაგრამ მაინც მათავისუფლებდნენ. მე იმ მწვრთნელზე რა ვთქვა, რომელსაც არც იწვევენ და არც ათავისუფლებენ. ჩვენ, მწვრთნელები, მუდამ უნდა ვმოგზაურობდეთ — ასეთია ჩვენი ხვედრი.

პრეზიდენტს უეჭველად მოვთხოვ კონტრაქტის გაფორმებას. თუ გამიშვებენ, კონტრაქტით კომპენსაცია მერგება. მწვრთნელები დაუცველები ვართ, ეს კი დაუშვებელია.

**— მახარაძის შემცვლელს ბევრს მოგთხოვენ...**

— ჩემს კარიერაში პირველად ჩავიბარე ასეთი გუნდი. სადაც მივდიოდი, თითქმის ყველგან საქმის ნულიდან დაწყება მიხდებოდა. თავდაპირველად, განსაკუთრებულ ყურადღებას არა შედეგს, არამედ გუნდის ჩამოყალიბებას მივაქცევ. არავის ეგონოს, რომ დაკავებული, ადგილი ყოველთვის გუნდის რეალური ძალის მაჩვენებელია. საპრიზო ადგილზე გასულს ზოგჯერ გუნდს ვერ უწოდებ და პირიქით, ბოლო ადგილზე მყოფი ბევრ წინას სჯობს. იმედია, ისეთ გუნდს შევქმნი, თავის სიტყვას რომ იტყვის. ინტერტოტოზე გასული კლუბების თავკაცებს მეოთხე ადგილით ვერ გავაკვირვებთ, უფრო მაღალ ადგილებზე უნდა ვიფიქროთ.

**— ბუნებრივია, გეცოდინებათ, რომ მოთამაშეთა უმრავლესობა „მერანის" დატოვებას აპირებს. მათ ნაცვლად ვის მოიყვანთ?**

— ჯერ არავინ შემიგულებია, თუმცა, ვფიქრობ, თბილისში მოთამაშეთა მოძებნა პრობლემა არ არის. მართალია, ჩემპიონატის დაწყებამდე დიდი დრო არ დარჩა, მაგრამ, იმედია, ხალხს მოვნახავთ.

**— ვეტერანებს რომ არ წყალობთ, ცნობილია. ალბათ, „მერანშიც" ასე იქნება...**

— გუნდიდან არავის გაგდებას ვაპირებ და არც ვინმეს ასაკი მაინტერესებს. მთავარია, კაცმა თავი გამოავლინოს.

**— „მერანში" მისვლამდე, ბუნებრივია, პრეზიდენტს ფინანსურ მდგომარეობაზე დაელაპარაკებოდით. ამას ხომ ბევრად შეუძლია გუნდის შედეგის განსაზღვრა...**

— მართალია, დღეს „მერანს" ფინანსურად არ ულხინს, მაგრამ იმედს არ ვკარგავთ, რომ ტრანსპორტელები კვლავ გამონახავენ ნორმალური მომზადებისათვის საჭირო თანხას. ერთ საკითხზეც მინდა ვთქვა. გუნდში მოთამაშე და მწვრთნელი ექვსი თვით არ უნდა რჩებოდეს. ორ წელიწადზე ნაკლები დროით კონტრაქტის გაფორმება გაუმართლებლად მიმაჩნია. თუ ამ ხნის მანძილზე რომელიმე ფეხბურთელით უცხოური გუნდი დაინტერესდება, ხელს არავინ შეუშლის. მაგრამ ერთ წელიწადში გუნდი არ ყალიბდება, ამას დრო სჭირდება და ექვსი თვით დარმრჩენი მოთამაშეებით იგი ვერ დაკომპლექტდება.

**— ახალი სეზონისთვის მზადებას როდის დაიწყებთ?**

— „მერანის" მოთამაშეებს სამ დღეს დავასვენებთ და მხოლოდ მსუბუქად დავტვირთავთ. ჩემპიონატის დაწყებამდე კი ორ-სამ საკონტროლო შეხვედრას ჩავატარებთ და დამრჩენთა ვინაობას გავარკვევთ. კრებაზე ბევრმა გამოთქვა გუნდის დატოვების სურვილი. ერთიც სათქმელია — მირჩევნია, გუნდში 15-16 მებრძოლი მოთამაშე მყავდეს, რომელთა იმედიც მექნება.

**— „მერანის" ძველ მწვრთნელებსაც დაიხმართ?**

— რა თქმა უნდა, ისინი ჩემს მოსვლამდე მუშაობდნენ გუნდში. მათ მიმართ პრეტენზია არ მაქვს, მაგრამ თუ ჩვენი ერთობლივი მუშაობა სასურველ შედეგს არ მოიტანს, მათთან დამშვიდობება არ დააყოვნებს.

**— მომავალ ჩემპიონატში სამეულისთვის ბრძოლაში მეტოქედ ვინ გეგულებათ?**

— ტრადიციულად, ალბათ, „დინამო" თავის სიტყვას იტყვის. „ბათუმი", „კოლხეთი", „ტორპედო", თსუ და „ლოკომოტივიც" მაღალი ადგილებისთვის იბრძოლებენ. ასე რომ, ვფიქრობ, დაძაბული ჩემპიონატი გველის.

**მერაბ მამულაშვილი**

# ვინც არ დუმს, უნდა წავიდეს

გუშინწინ „სინათლის" სტადიონზე „მერანის" კრება ჩატარდა. წინასწარ კი ვიცოდით, დღის წესრიგში თემურ მახარაძის გუნდიდან გათავისუფლების და ჯონი ჯანელიძის ახალ მთავარ მწვრთნელად დანიშვნის საკითხი რომ იდგა, მაგრამ, ვიფიქრეთ, კლუბის პრეზიდენტს ნუგზარ ნავაძეს გავესაუბრებით და მისგან უფრო დაწვრილებით შევიტყობთ ყველაფერსო. თუმცა, თქვენც არ მომიკვდეთ — აა, „სარბიელი"... ახლა თქვენ რომ რამე გითხრათ, დარწმუნებული ვარ, შედედებული რძის და „ბორჯომის" ამბავი განმეორდება. ხვალ პრეს-კონფერენციას ვმართავ, იქ მობრძანდით და ყველაფერს გაიგებთო. დაახლოებით ასეთი სიტყვებით გამოგვისტუმრა ავჭალიდან ნუგზარ ნავაძემ. საქმის არსს კი რაც შეეხება, დღევანდელი „სარბიელის" პირველ გვერდზე წაიკითხავდით. თურმე ნავაძე ჩვენს გაზეთში დაბეჭდილ წერილს გაუნაწყენებია და გუშინ პარლამენტის შენობაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე საყვედურისმაგვარიც კი გამოგვიცხადა. თუმცა ნუგზარ ნავაძის ნაამბობს თავიდან ბოლომდე მაინც ვერ შემოგთავაზებთ. მიზეზი უბრალოა — „მერანის" ავსტრიულ ამბებზე წინა „სარბიელში" გიამბეთ, მეორეც — შეპირებულ საშვთა უქონლობის გამო პარლამენტის შესასვლელში ყურყუტმა მოგვიწია, დარბაზში კი მხოლოდ თხუთმეტი წუთის დაგვიანებით შევაღწიეთ, ისიც ერთ-ერთი ნაცნობი პარლამენტარის მეშვეობით...

— ... მართალია, საბერძნეთში მგზავრობა ძალიან დამღლელი იყო, მაგრამ არა იმდენად, ფეხბურთელებს თამაში არ შესძლებოდათ. მოთამაშეებმა დიდხანს დაისვენეს, მაგრამ ამ მატჩში დაშვებული იყო ტაქტიკური შეცდომები. კარგად ვიცი, ოჯახის უფროსი თავისიანებზე ცუდს რომ არ უნდა ამბობდეს, მაგრამ მაინც მინდა, რომ ყველამ ყველაფერი ზუსტად იცოდეს.

ეტყობა, დისციპლინა გუნდში მთლად კარგად ვერ იყო, რაც გამოჩნდა კიდეც სალონიკში მგზავრობისას. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ მეკარე გუბაზ დოლიძემ ოთახიდან ფორმის გამოტანაზეც უარი გვითხრა, იმ მოტივით, თითქოს მას უნდა დაესვენა, არადა, დილის 10 საათი გახლდათ და ფეხბურთელები სასაუზმოდ ემზადებოდნენ. მოხდა ისიც, რომ რამდენიმე მოთამაშე, რომლებიც ღამე გამოდიოდნენ სასტუმროდან, მწვრთნელმა უკან ვერ შეაბრუნა. იმასაც მოვესწარით, ფეხბურთელი, რომელიც საერთოდ არ მიგვყავდა საბერძნეთში, მგზავრობის წინა ღამეს ჩავსვით წამსვლელთა სიაში და, როცა ამ მოთამაშეს 17 ნომრიანი მაისური შესთავაზეს, უარი თქვა და სათადარიგოთა სკამზე უბრალო სპორტული პერანგით იჯდა. ყველაფერი ეს უეფას კომისარმა მიამბო. რა თქმა უნდა, ამ ფაქტებმა ნეგატიურად იმოქმედა და საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ საერთოდ არ მოვშორებივარ გუნდს. ყოველნაირად ვცდილობდი, გუნდში შექმნილი ატმოსფერო გამეჯანსაღებინა. ამის შემდეგ იყო, „ფლორიანას" რომ მოვუგეთ, თუმცა პირადად მე ვერანაირი სიამოვნება ვერ მივიღე, რადგან ერთი კვირის შემდეგ ავსტრიაში თამაში გველოდა. ის იყო, რიდში გამგზავრებას ვაპირებდით, რომ ზოგიერთ ფეხბურთელს საპასპორტოდ სურათებიც არ მოუტანია. მოკლედ, ღამის ოთხ საათზე შემოვიარეთ მთელი თბილისი და ძლივს გავამზადეთ საჭირო საბუთები.

**შემდეგ ბატონმა ნავაძემ ავსტრიულ ოდისეაზე ისაუბრა, რაზეც უკვე ვწერდით და, ჩვენი აზრით, უფრო საინტერესო მის ნაამბობიდან ეს იყო:**

— ... გუშინ გუნდში სერიოზული ცვლილებები მოხდა. ავსტრიიდან დაბრუნებულებმა თემურ მახარაძეს კონტრაქტი აღარ გავუგრძელეთ. სამწუხარო მიზეზები კი ის იყო, რომ შეცდომები გახლდათ დაშვებული ფეხბურთელთა შერჩევის საქმეში. მართალია, მოწვეულთაგან ორი-სამი კაცი გამოგვადგა, მაგრამ უმრავლესობა ჩვენი პირობების მქონე გუნდს არ სჭირდებოდა. გარდა ამისა, „ტორპედოსთან" ბახვა ამბიძისა და ქორიძის ყოვლად გაუმართლებელი შეცვლები, ამათი მოედნიდან გაყვანა უდიდეს შეცდომად მიმაჩნია. კიდევ ის იყო, რომ რამდენიმე ფეხბურთელის მოედანზე შეცვლა-გადაადგილება, მწვრთნელის ინტერესებიდან გამომდინარე, შეუძლებელი შეიქნა. პირველ რიგში ეს გუბაზ დოლიძეს ეხება, რომელსაც საერთოდ არ უნდა ეთამაშა „ტორპედოსთან".

მოკლედ, ნუგზარ ნავაძემ თავისი გუნდის ავ-კარგზე ვრცლად ისაუბრა. პრეს-კონფერენციის ბოლოს კი, როგორც შესავალში ვთქვით, სარბიელელებსაც გადმოგვწვდა და ეს თქვა:

— ... საბერძნეთიდან დაბრუნების შემდეგ გაზეთ „სარბიელში" წავიკითხე სტატია — „ბევრი იარეს თუ ცოტა", სადაც ჩვენი მგზავრობა ისეა აღწერილი, თითქოს „მერანი" მხოლოდ შედედებული რძისა და „ბორჯომის" სითხით იკვებებოდა. დღევანდელ პრესკონფერენციას იმ ორგანიზაციათა დირექტორები ესწრებიან, რომლებიც გუნდს პატივისცემისთვის წამოყვნენ და ეს ხალხია მოწმე, თუ როგორ ვუშლიდით ფეხბურთელებს ავტობუსში სადილს. ერთი სიტყვით, თუკი რამე ცუდის თქმა შეიძლება მგზავრობაზე, ყველაფერი „სარბიელში" წერია. შეფასებით კი გაზეთში გამოქვეყნებულ მასალას ასე შევაფასებდი: შესაძლოა, მახარაძემ იმიტომ თქვა ასეთი რამ, რომ გუნდის წაგება რამენაირი ფორმით აეხსნა. შეიძლება მახარაძემ სულ არ იფიქრა, თავისი ნაამბობით ვილაცეებს ჩირქს რომ სცხებდა. თუმცა, არც ერთი და არც მეორე დიდ გონივრულობაზე არ მეტყველებს. მე, საერთოდ, ტყუილის თქმა ძალიან ცუდ ფაქტად მიმაჩნია. ყველაზე მთავარი კი ისაა, რომ გაზეთში წერია, აღნიშნული ინფორმაცია ფეხბურთელებმა მოგვაწოდესო. არადა, ვერც ერთი მათგანი ვერ ვნახე, რომელსაც, ამგვარი ინფორმაცია მე მივაწოდე „სარბიელსო", ეთქვას. გული ერთ რამეზე მტკივა. ხომ შეიძლებოდა, როგორც გუნდის პრეზიდენტს, იმ ფეხბურთელის ძებნა დამეწყო, რომელმაც ეს თქვა, ამ დროს კი ჩემთან ვინმე მოსულიყო და რომელიმე ფეხბურთელზე მიეთითებინა — ეს და ეს ტყუილი ამან უთხრა „სარბიელსო". ბუნებრივია, შესაძლებელი გახლდათ, ის ფეხბურთელი საერთოდ გამეშვა გუნდიდან. ყველაფერი იმას ნიშნავს, რომ პრეზიდენტსა და ფეხბურთელებს შორის რაღაც უთანხმოების ჩამოგდება სურთ...

ისე, საინტერესოა, რომელი ფეხბურთელი წამოდგებოდა და ეტყოდა ნავაძეს — ბატონო ნუგზარ, თქვენ რომ ალგაშფოთათ, ის ამბავი „სარბიელს" მე ვუამბეო. „მერანის" პრეზიდენტი არც აძაზე შეჩერებულა...

— ... ავსტრიიდან დაბრუნებულმა, როცა მახარაძეს ვუთხარი, ჩვენ ერთად ველარ ვიმუშავებთო, მან კაცურად მითხრა — მე შენი ოჯახის მლოცველი ვიქნებიო. ამის შემდეგ ვიფიქრე, რაღა აზრი აქვს პრესკონფერენციის გამართვას-მეთქი, მაგრამ გამოცდილება მაქვს და მაინც გადავწყვიტე თქვენთან შეხვედრა.

**გამოცდილება კი ნუგზარ ნავაძეს მას შემდეგ მიუღია, რაც...**

— ... ერთი პერიოდი თემურ მახარაძე გუნდიდან წავიდა. ბევრმა გაზეთმა ამ ფაქტის შესახებ არასწორი ინფორმაცია დაბეჭდა, მაგრამ ეს ჟურნალისტების ბრალი არ არის. მე ჩემი გამოცდილება არ მაძლევს იმის უფლებას, რომ ტინგიცობა დავიწყო. ვითმინე, ვითმინე და ბოლოს ყველა გაზეთს წერილი გავუგზავნე, სადაც ეს ფაქტი ჩემებურად მქონდა ახსნილი. კერძოდ, ვამბობდი, რომ მწვრთნელს გუნდი ვერ დააბრუნებს, თუ პრეზიდენტს არ უნდა-მეთქი. წერილი ყველა გაზეთმა დაბეჭდა, მათ შორის „საქართველოს რესპუბლიკამაც", არ დაბეჭდა „სარბიელმა"...

**ისე, ისაც საინტერესო იქნებოდა, პრეზიდენტს უფრო დაეკონკრეტებინა, რატომ იყო ვალდებული „სარბიელი", აუცილებლად დაებეჭდა მის მიერ გამოგზავნილი წერილი.**

— ... ყველაფერი, რაც მოგახსენეთ, ასპროცენტიანი სიმართლეა. ეგ კი არა, როცა თემურ მახარაძე პირველად წავიდა გუნდიდან, „სარბიელში" ორი მასალა ასეთი სათაურით დაიბეჭდა: პირველი იყო „უთავო მერანი", მეორე რაღაც უბედურება, ზუსტად აღარ მახსოვს. „ტორპედოსთან" თამაშის მერე კი, საერთოდ. მერე რა, რომ შეცდომები გვაქვს. მოვუთმინოთ ერთმანეთს, მივუტევოთ ერთმანეთს. პირიქით, მხარი დავუჭიროთ, კარგი ვთქვათ, რომ ბიჭებს შეეშალათ და მერე რამე იქნება. და ამის პასუხად ვამბობ, რომ გაგვათახსირეს. „მერანი" ისეთი გუნდი იქნება, საქართველოს პირველობაზეც იბრძოლებს, იბრძოლებს ევროპაზეც, „მერანს" ექნება თავისი ტექნიკა, ეყოლება თავისი ავტობუსი, ექნება თავისი სტადიონიც. მოკლედ, ჩემი გუნდში მოღვაწეობის მეორე ეტაპი ეს იქნება. პირველი უკვე დავამთავრე.

**ლირიკული გადახვევის შემდეგ, რომელიც ხარაგაულის გუნდს შეეხებოდა (შესაძლოა უახლოეს მომავალში ხარაგაულის „მერანი 91 3" დაარსდეს, ხოლო „მერანი 91 2" სულ ცოტა ხანში შეიქმნება), ნავაძემ ეროვნულ ნაკრებზეც ისაუბრა.**

— ... ნაკრები თამაშობს, მაგრამ არ თამაშობს. ფეხბურთელები მაშინ ინდომებენ, როცა ვინმეს ტრანსფერზეა ლაპარაკი და თამაშს ვინმე სელექციონერი ესწრება, რომელიმე გუნდის პრეზიდენტი უყურებს და იცის, ამ კაცმა მე უნდა მიყიდოსო. ასეთი დამოკიდებულებით საქმე წინ ვერ წავა. არაერთხელ მითქვამს ალექსანდრე ჩივაძისთვის — ხალხს ყველაფერი გავაგებინოთ. არა, რა, ლამაზად არ გამოვაო — მპასუხობდა. რას ჰქვია, ლამაზად, ის გამოვიდა ლამაზად — ჩივაძე წავიდა, სხვები დარჩნენ. ეს არ არის თამაში, კარგი თამაში. ლაპარაკობენ ჩივაძეზე, ლაპარაკობენ ნავაძეზე, ლაპარაკია ერზე, საქართველოზე. ვინ შეძლო, რაც ჩვენ შევძელით? რაც ჩვენმა ბიჭებმა შეძლეს, რომ ავსტრიაში ააწევინონ საქართველოს დროშა, ვისაც გაეხარდებათ. თანამდებობით ჩემზე დიდებმაც, ჩემზე გამოცდილებმაც, ჩემზე პატრიოტებმაც, წავიდნენ და ააწევინონ საქართველოს დროშა. და მერე ცრემლები წამოუვიდეთ საბერძნეთსა და ავსტრიაში.

ნაკრებში ცვლილებებია მოსალოდნელი. ბარემ იმასაც გეტყვით, რომ რაც ჩვენს გუნდში დისციპლინა მოიკოჭლებდა, ნაკრებში არანაკლები იყო. ეს გამოჩნდა ბოლო თამაშებში. სწორედ ამის გამო ვიცი, რომ ხელმძღვანელობა ნაკრებში ცვლილებებს მოახდენს.

**აი, ეს იყო, რისი აღნიშვნაც შეიძლებოდა ნუგზარ ნავაძის ნალაპარაკებიდან, თუმცა არანაკლებ საინტერესო იყო მისი საუბარი ტრანსფერების თაობაზე.**

— ... გოგობერიშვილით ლატვიის „სკონტო", საბერძნეთის „ირაკლისი", „დოქსა" და ინგლისის „ასტონ ვილა" დაინტერესდნენ. თუმცა, ინგლისში გოგობერიშვილის გადასვლას ბრიტანეთში დამკვიდრებულმა სატრანსფერო წესებმა შეუშალა ხელი. მე შევუთანხმდი „ვილას" პრეზიდენტს, რომ როცა ალეკო ნაკრებში 9 თამაშს ჩაატარებს, სადაც არ უნდა გადავიდეს იგი, ჩვენ მას მაინც მათ მივყიდით.

გელა ქორიძე „კამაზში" ისინჯებოდა და ახლა მისი გუნდში დარჩენა პირობებზეა დამოკიდებული, ხოლო ბახვა ამბიძით „ალანია" და რუსეთის რამდენიმე კლუბი დაინტერესდა. და კიდევ: ამ ცოტა ხნის წინ იტალიის „ფიორენტინასთან" დავამყარეთ საქმიანი ურთიერთობა. იტალიელებმა გვითხრეს, ამა და ამ სიმაღლისა და წონის ფეხბურთელს წავიყვანთ ჩვენთანო. ასეთი მონაცემების მქონე მიხეილ მაზიაშვილი აღმოჩნდა. ადრე, მიზეზთა გამო, ეს ამბავი არ გამოვიდა, ახლა კი ამისთვის მოვიცლი და ვფიქრობ, ყველაფერს მოვაგვარებ. თუმცა არ გამოვრიცხავ, მაზიაშვილი სხვა გუნდშიც გადავიდეს.

**ქობა ინასარიძე**


სარეკლამო სააგენტო
კოქი და კომპანია
რეკლამის დამზადება
1. ფარების დამზადება, მოხატვა და განთავსება მოკლე ვადაში
2. განათებული აბრების დამზადება
3. ფერადი წებოვანი რეკლამები
4. სარეკლამო საათებზე რეკლამის განთავსება
კომპიუტერული მომსახურება
ესკიზების, ბუკლეტების, სავიზიტო და მოსაწვევი ბარათების დამზადება
25% ფასდაკლებით!!!
მისამართი: ალ. ყაზბეგის 42
ვაჭრობის სამინისტრო, 2 კორ. 3 სარ.
ტელ. 95 96 56

# ჟინოლა ლონდონში არ გაერთობა

**დავიდ ჟინოლა**
დაიბადა 1967 წლის 25 იანვარს გოსინში, საფრანგეთში. სიმაღლე 180 სანტიმეტრი. წონა 75 კილოგრამი. საფრანგეთის ნაკრებში ჩაატარა 16 შეხვედრა
1985 წელი — თამაშს იწყებს „ტულონში"
1988 წელი — გადადის პარიზის „რასინგში"
1990 წელი — გადადის „ბრესტში"
1992 წელი — გადადის „პარი სენ ჟერმენში"
1994 წელი — ხდება საფრანგეთის ჩემპიონი. ასახელებენ საფრანგეთის წლის საუკეთესო ფეხბურთელად, როგორც ჟურნალისტები, ასევე თავად მოთამაშეები.
1995 წელი — 2,5 მილიონ დოლარად გადადის „ნიუკასლში"
1996 წელი — ხდება ინგლისის ვიცე-ჩემპიონი
1997 წელი — კვლავ ინგლისის ვიცე-ჩემპიონი ხდება და გადადის „ტოტენჰემში"

დავიდ ჟინოლა „ნიუკასლიდან" „ტოტენჰემში" გადავიდა. ლონდონელებმა ნიუკასლელებს ფრანგ გარემარბში ორი მილიონი გირვანქა (3,4 მილიონი დოლარი) გადაუხადეს. ამიერიდან ჟინოლა ალბათ შვებით ამოისუნთქებს — იგი აღარ იქნება გუნდში, რომელსაც კენი დალგლიში ხელმძღვანელობს.

— ჟინოლამ წასვლა გვთხოვა. კი ბატონო, როგორმე გადავიტანთ უმისობას. თუ ვინმეს თამაში არ უნდა, მის დატოვებას რა აზრი აქვს? ღმერთმა ხელი მოუმართოს. აკი მშვენიერი კლუბიც იშოვა — უთხრა ჟურნალისტებს დალგლიშმა.

სანამ „ნიუკასლის" მწვრთნელი კევინ კიგანი იყო, ჟინოლა მუდმივად ძირითად შემადგენლობაში გამოდიოდა, კიგანის ნაცვლად დალგლიში მივიდა და...

— „ნიუკასლში" ძალიან ცუდი დრო დამიდგა — თქვა ფეხბურთელმა — ხალხთან, რომელთანაც ვმუშაობ, კარგი ურთიერთობა მჭირდება, იქ კი ბოლო ექვსი თვის მანძილზე სხვაგვარად იყო საქმე.

ჟინოლა, ეტყობა, ახალ გუნდს და ახალ ამოცანებს სერიოზულად უდგება. ის არ აპირებს „ტოტენჰემში" ვალის მოსახდელად სირბილს. მას არ შეუძლია წაითამაშოს, შემდეგ კი ლონდონში გავიდეს და კარგი დრო ატაროს.

— მე და ჩემს ახალ კლუბს დიდი ამოცანა გვიდგას — მომავალ სეზონში ჩემპიონთა თასზე გასვლის უფლება უნდა მოვიპოვოთ. საფრანგეთში რომ ვცხოვრობდი, „ტოტენჰემის" თამაშებს ტელევიზიით დიდი სიამოვნებით ვადევნებდი თვალს. მახსოვს სტადიონი, ცნობილი თეთრი მაისური და დიდი სახელები, მაგალითად, გარი ლინეკერი. ეს გუნდი ყოველთვის ინგლისის საუკეთესოთაგანი იყო და მსოფლიო ფეხბურთში დიდი სახელი აქვს დატოვებული.

„ტოტენჰემის" მწვრთნელმა ჯერი ფრენსისმა, გულშემატკივრებს სხვა ფეხბურთელების ყიდვასაც რომ ჰპირდება, ჟინოლაზე თქვა:

— კმაყოფილი ვარ, რომ ყველაფერი მოვაგვარეთ და დავიდი ჩვენი წევრი გახდა. მას მცველთა მოტყუების განსაკუთრებული ნიჭი აქვს. ორივე ფრთაზე შეუძლია თამაში, ნახევარდაცვაში კარგია, თანაც ამბიციურია და საფრანგეთის ნაკრებში დაბრუნება სურს.

სამშაბათს „ტოტენჰემი" სეზონისწინა შეკრების ჩასატარებლად ნორვეგიას გაემგზავრა და დავიდ ჟინოლაც, ბუნებრივია, იქ უნდა მოვიკითხოთ.



დავიდ ჟინოლა მალე „ტოტენჰემის" მაისურს ჩაიცმევს

# არჩევანის თავისუფლება

გუშინ, „მილანის" შეკრებაზე, რობერტო ბაჯოს ბოლო სიტყვა უნდა ეთქვა. კლუბის ვიცე-პრეზიდენტის ადრიანო გალიანის თქმით, 30 წლის ფეხბურთელს არჩევანის სრული თავისუფლება აქვს. მანვე დასძინა, რომ რობერტოს ყიდვის სურვილი გამოთქვა ორმა ინგლისურმა კლუბმა, რომელთა ვინაობა არ დაუსახელებია.

ერთი ინგლისური გუნდი ადრეც იყო ცნობილი — „დერბი ქაუნთი". მისი მწვრთნელი ჯიმ სმიტი მილანს გაემგზავრა და თვითმფრინავში ჩაჯდომის წინ სიტყვა დაიბარა:

— ჩვენ გვაქვს რობერტო ბაჯოს გადაბირების შანსი, ხოლო ეს შანსი კონკრეტულად რამხელაა, ამას რობერტოსა და მის მრჩევლებთან საუბარი გვაჩვენებს.

სმიტის ოპტიმიზმი 13 მილიონ დოლარს ემყარება, იტალიური „ბოლონიასი" კი 2,8 მილიონსა და იმ პირობას, რომ, თუ არ მოეწონება, გაისად ამ დროს ფეხბურთელი, სადაც უნდა, იქ წავა.

— „მილანმა" და „ბოლონიამ" მიაღწიეს შეთანხმებას ბაჯოს წითელ-ლურჯებში გადასვლის თაობაზე — უთხრა ბოლონიელთა პრეზიდენტმა ჯუზეპე ფრასკარამ „გაძეტა დელო სპორტს". გაზეთის ვერსიით, ეს კლუბი ბაჯოს 1,5 მილიონიან ხელფასს სთავაზობს.

— ჩვენ სხვა წინადადებებიც მივიღეთ. კერძოდ, „უდინეზე", დორტმუნდის „ბორუსია", „ბარსელონა" და მრავალი სხვა გვთხოვს ბაჯოს თაობაზე მოლაპარაკებას, მაგრამ ვიმეორებ, არჩევანი მთლიანად რობერტოზეა — შეუვალი გახლდათ გალიანი.

**რუსეთი**

მე-18 ტური. სპარტაკი — ჟემჩუჟინა 2:0, ცსკა — დინამო 1:1, ბალტიკა — ლოკომოტივი 0:0, კრილია სოვეტოვი — ნ. ნოვგოროდი 3:0, ზენიტი — ფაკელი 0:1, როსტსელმაში — ტიუმენი 3:1, ტორპედო — შინიკი 1:2, ჩერნომორეცი — როტორი 2:1, კამაზი — ალანია 4:2.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სპარტაკი | 18 | 11 | 4 | 3 | 29:12 | 37 |
| დინამო | 18 | 10 | 5 | 3 | 22:10 | 35 |
| როტორი | 18 | 9 | 4 | 5 | 31:19 | 31 |
| ტორპედო | 18 | 9 | 3 | 6 | 30:22 | 30 |
| ჩერნომორეცი | 18 | 7 | 7 | 4 | 21:17 | 28 |
| როსტსელმაში | 18 | 6 | 9 | 3 | 18:13 | 27 |
| ალანია | 18 | 8 | 2 | 8 | 30:22 | 26 |
| ლოკომოტივი | 18 | 6 | 8 | 4 | 21:17 | 26 |
| კრილია | 18 | 7 | 4 | 7 | 12:14 | 25 |
| ჟემჩუჟინა | 18 | 6 | 5 | 7 | 13:18 | 23 |
| ბალტიკა | 18 | 4 | 11 | 3 | 16:13 | 23 |
| ზენიტი | 18 | 5 | 7 | 6 | 10:15 | 22 |
| შინიკი | 18 | 5 | 7 | 6 | 16:24 | 22 |
| ცსკა | 18 | 5 | 5 | 8 | 15:22 | 20 |
| კამაზი | 18 | 6 | 1 | 11 | 21:37 | 19 |
| ნ. ნოვგოროდი | 18 | 5 | 3 | 10 | 12:22 | 18 |
| ტიუმენი | 18 | 4 | 4 | 10 | 14:23 | 16 |
| ფაკელი | 18 | 4 | 1 | 13 | 10:22 | 13 |

იურგენ კლინსმანი, ერიკ კანტონა და ჟუნინიო ინგლისური ფეხბურთიდან წავიდნენ. მათ იქ კვალი დასტოვეს. ახლა, ლა მანშის გაღმიდან ფეხბურთელთა ახალი ნაკადი შევარდა ალბიონზე. და, რაც ყველაზე საინტერესოა, მათმა უმრავლესობამ „არსენალში" ჰპოვა ბინა.

ჩრდილოლონდონური კლუბის ფრანგმა მწვრთნელმა არსენ ვენგერმა თავისი სამშობლოდან ხუთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი ჩაიყვანა, მათ დაამატა ჰოლანდიის ნაკრების წევრი მარკ ოვერმარსი და კიდევ სხვები, რათა „არსენალს" მეთერთმეტედ მოაპოვებინოს ინგლისის ჩემპიონის ტიტული, რომელსაც ბოლოს 1991 წელს ფლობდა. ცხრა აგვისტოს, პრემიერლიგის პირველობა რომ დაიწყება, „მეთოფეები" ალბათ ექვსი ან შვიდი უცხოელით გავლენ მოედანზე. ინგლისის ლიგაში ასეთი რამ სიზმრადაც არ მოუვიდოდა თავში ადამიანს.

# წითელი შზნის მადა და ეჭვი

ლონდონის წითელ ნახევარში ანუ „არსენალის" ქომაგთა შორის, ცხარე კამათია — სწორ გზას ადგას თუ არა მათი საყვარელი გუნდი, მაგრამ საკმარისია სეზონის ბოლოს „მეთოფეებმა" ჩემპიონობა ან თასი მოიგონ, რომ დისკუსიას ბოლო მოეღება. ცხადია, „არსენალს" ვარსკვლავები არასდროს ჰკლებია, ოღონდ ახლა ბოსმანის წესმა და სხვა მომენტებმა გუნდში უცხოელთა მომრავლება განაპირობეს. გასულ სეზონში ჰოლანდიელმა დენის ბერხკამპმა და ფრანგმა პატრიკ ვიეირამ ლონდონელთა თამაშს კონტინენტური სული შთაბერეს და თუკი ყრუ დაცვის და კონტრშეტევის გამო „არსენალს" ადრე ხრახნს უწოდებდნენ, ახლა გუნდმა დაამტკიცა, რომ შემტევ ფეხბურთსაც კარგად თამაშობს. ვენგერის ახალ იდეებს ფეხბურთელები ენთუზიაზმით მოეკიდნენ.

— ჩვენ გვჭირდებოდა პასის ოსტატთა გუნდი — თქვა ბერხკამპმა — გვჭირდებოდა ფეხბურთელი, რომელიც ერთი მოძრაობით შეცვლიდა თამაშის ნირს.

ვენგერი უცნაური მწვრთნელია. ეკონომიკის სპეციალისტია და ექვს ენას ფლობს. მან კონსერვატიზმით ცნობილ გუნდს ფრანგული ფანტაზია დაამატა. სკეპტიკოსები მალევე გაჩუმდნენ, რადგან იხილეს ვარჯიშის ახალი მეთოდიკა, მოიმატა ბურთთან მუშაობის დრომ, მცველები მეტოქის ფორვარდებს ჩრდილივით აეკვრნენ.

უცხოელ მოთამაშეთა ყიდვა დაემთხვა პოლ მერსონის გაყიდვას. მერსონი 14 წლიდან „არსენალში" იყო და ლამის კლუბის სიმბოლოდ გახლდათ ცნობილი. „მეთოფეებს" ახლა 34 ფეხბურთელი ჰყავთ.

— ეს ძალიან კარგია. ითამაშებს თერთმეტი საუკეთესო, იქნება დიდი კონკურენცია — თქვა ოვერმარსმა.

— ვფიქრობ, იმ ფეხბურთელებით, რომლებიც ახლა შევიძინეთ, ჩემპიონობა სრულიად შესაძლებელია. ისინი ზუსტად ისეთები არიან, როგორებსაც ვეძებდით — ეს ფრანგი პატრიკ ვიეირას აზრია.

— ახალ ფეხბურთელებს ყოველმხრივ შევუწყობ ხელს — განაცხადა 33 წლის იან რაიტმა, რომელიც მომავალ სეზონში ალბათ კლუბის ისტორიაში პირველი ბომბარდირი გახდება. მას ვენგერმა აღთქმა მისცა, სანამ თავად არ იტყვი, ფორმაში არ ვარ, მე სულ გათამაშებო.

შეიძლება მავანს ეჭვი გაუჩნდეს — შეძლებს კი ვენგერი ვარსკვლავთა ამ თავყრილობის გუნდად ქცევას? ბოლოსდაბოლოს, დიდ სახელებს დახარბებული „მიდლსბრო" სულაც ლიგიდან გავარდა.

პასუხს დაველოდოთ. ერთი კი უდავოა, რომ „ჰაიბრის" სტადიონზე გამარჯვების დიდი მადაა გაღვიძებული.

— კაცმა ჩემპიონობა უნდა მოიპოვოს და მე ვგრძნობ, რომ ეს შემიძლია — ამბობს რაიტი.

— ვფიქრობ, დროა ჯილდოები მოვიგოთ — ეთანხმება ბერხკამპი.

**გიგა კობახიძე**

# თემური და მისი ახალი რაზმი

საფეხბურთო ევროპა სეზონისწინა ტურნირებითაა ჩახუნძლული, კონტინენტის ცნობილი თუ უსახელო გუნდები ახალი სეზონისთვის ემზადებიან. ყველა შეჯიბრების მოხსენიება შეუძლებელია, მაგრამ დუბლინის ოთხთა ტურნირი, სადაც ინგლისის ვიცე-ჩემპიონი და მისი ქართველი ლეგიონერი თემურ ქეცბაია მონაწილეობენ, ჩვენთვის დიდი ინტერესის საგანს წარმოადგენს.

**ნიუკასლი 3:2 ეინდჰოვენი**

**ნიუკასლი:** გივენი, ბარტონი, ჰაუი (ჰიუზი 73), ალბერი, უოტსონი, გილესპი, ბეტი (კროუფორდი 46), ლი, ქეცბაია, ტომასონი, შირერი

**ეინდჰოვენი:** კოხი (ვატერეუსი 46), ვამპეტა (ივანი 70), ფაბერი, სტამი, ნუმანი, პეტროვიჩი (დემო 74), ბრუგინკი, კოკუ, ზენდენი, დე ბილდე, ნილისი

**გოლი:** გილესპი (20), ტომასონი (23, 80), ბრუგინკი (30), სტამი (74)

გუშინ ინგლისურმა „სქაი ნიუზმა" რამდენჯერმე მსხვილი პლანით აჩვენა თემურ ქეცბაია. კადრს მიღმა კომენტატორმა თქვა, ამ ფეხბურთელს, რამდენადაც ცოტა თმა აქვს, იმდენად დიდი აქვს ოსტატობაო...

კენი დალგლიშს სამი ახალწვეულის გამოცდის ჩინებული საშუალება მიეცა. ახალწვეულთა სახელებია: შეი გივენი, დანიელი იონ დალ ტომასონი და ქართველი თემურ ქეცბაია.

ჩრდილოირლანდიელი გივენი საქმეში უმალვე ჩაერთო. მე-9 წუთზე სტუმართა ბელგიელი ვარსკვლავის ლუკ ნილისის დარტყმა მოიგერია, შემდეგ ბურთს ახლო ძელთან დააცხრა და ჩაბღუჯა. „ნიუკასლი" უკეთ თამაშობდა და მე-20 წუთზე დაწინაურება ნაღდად ეკუთვნოდა: სტივ უოტსონმა ჰოლანდიელების მეკარეს ბურთი მოაგერიებინა, მას მარცხნივ ტომასონი დაეუფლა, რომელმაც კიტ გილესპის გადასცა, ამან კი ლონიერი დარტყმით გახსნა ანგარიში.

გილესპიმ ვალი მალე დააბრუნა. სამი წუთის შემდეგ ტომასონს გამოზომილი პასი გადასცა. დანიელმა ორ მცველს ვალსით აუარა გვერდი და საჯარიმოს კიდიდან მეორე გოლი შეაგდო. შემდეგ „ეინდჰოვენმა" გაიტანა თავისი: ზენდენის ჩაკიდება არნოლდ ბრუგინკმა ახლო ძელთან გოლად გარდასახა. მეორე ნახევარში, 74-ე წუთზე პოლონელმა ივანმა ძელს გაარტყა, იააპ სტამმა კი ასხლეტილ ბურთს სწორი მისამართი მოუძებნა, მაგრამ თამაშის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ისევ გილესპი-ტომასონის კომბინაციამ იმარჯვა და ინგლისელებს წარმატება მოუტანა.

**დერი სიტი 3:2 სელტიკი**

„დერი სიტი" ქალაქ ლონდონდერის გუნდია. ქალაქი ლონდონდერი ჩრდილო ირლანდიის სამხრეთით მდებარეობს, მაგრამ მისი გუნდი მეზობელი სახელმწიფოს, ირლანდიის რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილეობს და ევროთასებზეც ამ ქვეყნის სახელით გამოდის.

ჟიმ იანსენი ჰოლანდიელი მწვრთნელია. იგი ახლახანს ჩაუდგა სათავეში გლაზგოს „სელტიკს" და „დერი სიტის" მოყვარულებთან წაგების შემდეგ მიხვდა, რომ საშინელი ტვირთი მოიკიდა. „სელტიკს" ირლანდიელები დიდად არ შეუწუხებია. მათგან ერთადერთი კაცი, ვინც ფეხბურთელს ჰგავდა, იტალიელი პაოლო დი კანიო გახლდათ, სწორედ ის, ერთი ამბავი რომ დაათენეს, გლაზგოში ჩამოსვლა რად დაიგვიანე და გუნდის რამდენიმე ვარჯიში რად გამოტოვეო.

„რეინჯერსის" მიერ ერთი კვირის წინ „ჰიბერნიანსისგან" ნაყიდმა დარენ ჯექსონმა კი 27-ე წუთზე ანდრეას ტომის ცუდი პასის გამო ნაღდი გოლი ვერ შეაგდო.

ანგარიში ირლანდიელმა დონელიმ გახსნა, მაგრამ ტაიმის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე დი კანიომ გაქვითა. 75-ე წუთზე გლაზგოელებმა საკუთარ კარში მოახერხეს გოლის გატანა, მაგრამ მოგვიანებით საპირისპირო კარიც დალაშქრეს — კვლავ დი კანიომ იყოჩაღა. ბოლოს, 79-ე წუთზე რაიან კოულის 20 მეტრიდან დარტყმულმა „დერი სიტის" სენსაციური გამარჯვება მოუტანა.

# პლანეტის მორიგი საიდუმლო

ჩვეულებრივ, მსოფლიოს ამა თუ იმ უდიდესი სპორტული ჯილდოს მფლობელი მას ზეალმართავს, კოცნის და გამოსაჩენ ადგილზე დებს, რათა მისი მოხვეჭით იხაროს.

ამ დღეებში კი პირიქით მოხდა. ფეხბურთის მსოფლიო თასს, 1966 წლის შემდეგ პირველად, დაეუფლა ინგლისელი, მაგრამ ზეიმის ნაცვლად გაუჩინარდა.

იდუმალებით მოცულმა პიროვნებამ, ლონდონში, სოთბისის აუქციონზე, „ჟიულ რიმეს" თასში 432 ათასი დოლარი გადაიხადა, შემდეგ კი უკომენტაროდ და შენაძენის ნახვის გარეშე მიეფარა თვალს. სოთბისის აუქციონის წარმომადგენლის თქმით, მყიდველი ინგლისელი გახლდათ, რომელსაც არ უთქვამს, რელიქვია თავისთვის უნდოდა, თუ ვინმეს აგენტობას სწევდა.

მაშ ასე, „ჟიულ რიმეს" თასის საოცარი გაყიდვა მის ბურუსით მოცულ ისტორიაში ახალ თავად ჩაიწერა. ეს თასი ხომ ორიგინალი არ გახლდათ. ის იყო ასლი, რომელიც ინგლისის ფეხბურთის ფედერაციამ ჯერ კიდევ მაშინ დაამზადებინა, ნამდვილი ჯილდო პირველად რომ მოიპარეს.

პირველად „ჟიულ რიმეს" თასი 1966 წელს, მსოფლიოს ჩემპიონატამდე სამი თვით ადრე მოიპარეს. ქურდები მის გამოსასყიდად 15 ათას გირვანქას ითხოვდნენ. ასე გავიდა ერთი კვირა, შემდეგ ჩვეულებრივმა ძაღლმა, რომელსაც პიკლზი ერქვა, იგი ბუჩქებში იპოვნა.

ჩემპიონატი რომ დამთავრდა, ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ ასლი შეუკვეთა — მოოქროვილი ბრინჯაო. იმ ასლმა ორი წლის განმავლობაში მთელი ალბიონი შემოიარა. მას საგანგებოდ იცავდნენ, ხალხისთვის ორიგინალად რომ მოეჩვენებინათ.

1970 წელს ნამდვილი თასი მექსიკაში წაიღეს. იქ მსოფლიოს ჩემპიონატებში მესამედ გამარჯვებულმა ბრაზილიამ მისი სამუდამო ფლობის უფლება მოიპოვა. წლების მანძილზე ინახავდნენ ბრაზილიელები ტროფეის, მაგრამ ოთხმოციანი წლების დასაწყისში ის მოიპარეს. სამუდამოდ...

ასლსაც კინაღამ იგივე ბედი ეწია. მისი გამკეთებელი კომპანიის დირექტორი ჯორჯ ბერდი 25 წლის განმავლობაში ინახავდა ლოგინს ქვეშ. ბერდი ორჯერ გადაურჩა მძარცველებს. ვერმოპარულ ასლს იგი ლექციებზე საილუსტრაციოდ იყენებდა, შემდეგ კი გარდაიცვალა და ოჯახმა მისი გაყიდვა გადაწყვიტა.



სუზან ბერდი, ჯორჯ ბერდის რძალი: ფასმა გაგვაოცნა!

საწყისი ფასი 34 ათასი იყო, მოვაჭრე კი ორი: საიდუმლო მყიდველი და ბრაზილიის ერთ-ერთი სადაზღვევო კომპანია.

...51 ათასი

აქ ინგლისური გაზეთი „დეილი მირორი" ერევა საქმეში. მას უკვე აქვს პრინცესა დაიანას კაბა. ახლა „ჟიულ რიმეს" თასის დასაკუთრება სურს. გაზეთი 102 ათასს აცხადებს...

— თასის ყიდვა და ჩვენი ქვეყნის მთავრობისა და ხალხისთვის გადაცემა გვსურდა. თუ უცნობი მყიდველი ვინმე ბრაზილიელის აგენტი იყო, მე ბედნიერი ვარ — თქვა ბოლოს ზემოხსენებული სადაზღვევო კომპანიის პრეზიდენტმა ლეიტი მარსიუმ.

...432 ათასი

საიდუმლო მყიდველი სადღაც გაუჩინარდა.

ინგლისის ფეხბურთის ასოციაციაში კი კიდევ ერთი ასლი დევს. „სარბიელის" თანამშრომლებს ჩვენი თვალით გვაქვს ნანახი.

**ბაპუნა ძიძია**

ინგლისური „ლიდს იუნაიტედის" მწვრთნელმა ჯორჯ გრემმა შეადგინა იმ ოცი ფეხბურთელის სია, რომლებიც შვედეთში შეკრებას გაივლიან. ოცეულში ვერ მოხვდნენ კარლტონ პალმერი, ტონი დორიგო, ბრაიან დინი, ცნობილი იან რაში და თომას ბროლინი. ამ მოთამაშეთა შინ დატოვება მწვრთნელმა ასე დაასაბუთა: დორიგოს და დინის კლუბთან კონტრაქტის ვადა გაუვიდათ, პალმერის საქმე გაურკვეველია, რაში ალბათ სხვაგან წავა, შვედი ბროლინი კი დიდი ხანია ინგლისურ ფეხბურთში არ გამოჩენილა და გრემს ისიც ეეჭვება, რომ იგი საქმისთვის ხელის მოკიდებას სერიოზულად აპირებს. მიუხედავად ამისა, ბროლინმა განაცხადა, რომ „ლიდსიდან" არსად წავა, რადგან ამჟამად სხვას ვერაფერს გააკეთებს.

**ვიეტნამი კომუნისტური ქვეყანაა, მაგრამ იქაც ესმით, რომ თუ საკუთარი კარგი მწვრთნელი არ გყავს, უცხოელი უნდა მიიწვიო. ამ მოსაზრებით ვიეტნამელებმა თავიანთი ქვეყნის ნაკრების გაძღოლა ინგლისელ სპეციალისტს კოლინ მერფის დაავალეს. მერფი ადრე ბრიტანეთში მუშაობდა. „დერბი ქაუნთის" რომ ედგა სათავეში, 1975 წელს მან ინგლისის ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. შემდეგ წვრთნიდა რამდენიმე ირლანდიურ კლუბს, ბოლოს კი საუდის არაბეთში მოღვაწეობდა. ამბობენ, ვიეტნამის ფეხბურთის ფედერაცია მერფის თვიურად 5 ათას დოლარს გადაუხდისო. ამრიგად, კოლინ მერფი გახდა მესამე უცხოელი, რომელიც ვიეტნამის ეროვნულ გუნდს გაუძღვება. საგულისხმოა, რომ ბრიტანელის დანიშვნასთან დაკავშირებით ამ აზიური ქვეყნის კომპარტიის გაზეთმა „ნჰან დანმა", რაც სახალხო გაზეთს ნიშნავს, პირველ გვერდზე მისი იმხელა ფოტო გამოაქვეყნა, რომ პარტიული ახალი ამბებიც კი დაჩრდილა. ვიეტნამელთა წინა უცხოელი მწვრთნელი გახლდათ გერმანელი კარლ-ჰაინც ვაიგანგი, რომელიც იქაურ ფეხბურთის ფედერაციას ვერ შეეწყო და 1995 წელს დასტოვა თანამდებობა.**

ინგლისელი მარკ ჰეიტლი მესამე დივიზიონის „ჰალ სიტის" მოთამაშე-მწვრთნელი გახდა. ჰეიტლი ახლა 35 წლისაა. იყო ინგლისის ეროვნული გუნდის წევრი, გამოდიოდა „მილანში", „მონაკოში", „გლაზგო რეინჯერსსა" და სხვა გუნდებში. „რეინჯერსი" ვეტერანმა ახლახანს, სეზონის ბოლოს დასტოვა და „ჰალ სიტიში" შეცვალა ამ გუნდიდან ორშაბათს გაგდებული ტერი დოლანი. „ჰალ სიტი" სუსტი და ღარიბი გუნდია, რომელიც ყოფილმა ჩოგბურთელმა დავიდ ლოიდმა და მისმა ბიზნეს-პარტნიორმა ტიმ უილბიმ იყიდეს.

**უკრაინის ახალდაწყებულ ჩემპიონატში მეორე ტური გაიმართა. კიევის „დინამომ" სტუმრად სძლია კიროვოგრადის „ზირკა-ნიბასს", დონეცკის „შახტიორმა", რომელშიც საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრი მიხეილ ფოცხვერია თამაშობს, ოდესის „ჩერნომორეცს" აჯობა 4:1, კიევის ცსკა და დნეპროპეტროვსკის „დნიპრო" დაზავდნენ — 1:1. დანარჩენი თამაშები ასე დასრულდა: „მეტალურგი" (მარიუპოლი) — „ვორსკლა" 2:5, „კარპატი" — „მეტალურგი" (დონეცკი) 1:0, „ტავრია" — „მეტალურგი" (ზაპოროჟიე) 0:2, „ტორპედო" — „პრიკარპატია" 2:2, „კრივბასი" — „ნივა" 2:1. ორი თამაშიდან ექვს-ექვსი ქულა აქვთ „შახტიორს", „დინამოს" და „ვორსკლას". საოცარი რამ მოხდა უმაღლეს ლიგაში ახალაღზევებული მარიუპოლის „მეტალურგის" და პოლტავის „ვორსკლას" მატჩის შემდეგ. დილაუთენია მეტალურგთა მწვრთნელი იური პოხრებნიაკი თანამზრახველთა ჯგუფთან ერთად სასტუმრო ოთახში შეუვარდა მსაჯს ვადიმ შევჩენკოს, ცხვირი გაუტეხა და ნეკნები დაუქექა. ლიგის პრეს-ატაშემ ვალენტინ ზახოლუიკომ როიტერის სააგენტოს განუცხადა, რომ გამხეცებულ მწვრთნელს სამუდამო დისკვალიფიკაცია მიუსაჯეს, გუნდი კი 5 ათასი დოლარით დააჯარიმეს. საინტერესოა, რომ „მეტალურგის" სპონსორია უდიდესი მეტალურგიული ქარხანა „აზოვსტალი", რომელსაც ამ თანხის გადახდა წესით არ უნდა გაუჭირდეს.**

ინგლისის დედაქალაქში მომავალ კვირას საოცარი გამოფენა-გაყიდვა გაიხსნება. ამ ბაზრობის ორგანიზატორია ცნობილი კლუბი „ჩელსი", რომელმაც ბოლო 27 წელიწადში პირველად მოიპოვა ქვეყნის თასი. გასაყიდად, ყველანაირი ვიმპელებისა და მაისურების გარდა, გაიტანენ გუნდზე დაწერილ წიგნებს და გადაღებულ ვიდეოფილმებს, მთავარი საქონელი კი „ჩელსის" ლურჯ ფერად შეღებილი იტალიური ტიპის მოტოროლერები იქნება. იტალიური თემის ასეთი მოძალება ბუნებრივია იმითაა გამოწვეული, რომ გუნდში წარმატებით თამაშობენ ამ ქვეყნიდან მიყვანილი ფეხბურთელები რობერტო დი მატეო, ჯანფრანკო ძოლა და ჯანლუკა ვიალი. გამოფენილ-დაცული იქნება აგრეთვე ზემოხსენებული თასი. გულშემატკივრებს ნებას დართავენ, შესაბამის საფასურად, აღმართონ ინგლისის ეს უძველესი საფეხბურთო პრიზი და „უემბლის" აღფრთოვანებული ტრიბუნების სურათის ფონზე ფოტო გადაიღონ. „ჩელსის" პრეს-ატაშეს თქმით, ბაზრობა დიდად სარფიანი რამაა — მაგალითად, „მანჩესტერ იუნაიტედი" ყოველწლიურად შემოსავლის მესამედს ასეთი გზით იღებს.

## ფეხბურთის რუკასთან



**საფრანგეთის ჩემპიონმა „მონაკომ" პორტუგალიის მეორე დივიზიონის „ნასიონალ მადეირადან" თავისუფალი ტრანსფერის წესით ანუ უფასოდ გადაიყვანა ნახევარმცველი ფრანსისკო ჟოზე როდრიგეს და კოშტა. შეგახსენებთ, რომ მონაკოელებმა ბოლოჟამს ინგლისში სამი წამყვანი მოთამაშე გაჰყიდეს: ემანუელ პეტი და ჟილ გრიმანდი „არსენალში", პატრიკ ბლონდო კი „შეფილდ უენსდეიში". სანაცვლოდ, ცნობილ ფეხბურთელთაგან მათ ერთადერთი, ყოფილი ნანტელი იაფეტ ნდორამი შეიძინეს.**

შვედი ფეხბურთელი ჰენრიკ ლარსონი „ფეიენოორდიდან" გლაზგოს „სელტიკში" თითქმის უპრობლემოდ უნდა გადასულიყო, მაგრამ მის სამწლიან გარიგებას, შესაძლოა, ხელი ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაციამ შეუშალოს. საქმე ის გახლავთ, რომ „ფეიენოორდმა" ამ ორგანიზაციას სთხოვა იმ საქმის გამოძიება, რომელსაც თვითონ ასე უწოდებს: „მისი ფეხბურთელის არალეგალურად გადაბირება". ახლა 25 წლის ლარსონი „სელტიკის" ექიმებთან სამედიცინო შემოწმების გასავლელად და როტერდამში საქმის გასარჩევად ემზადება.

**არგენტინის საგაზაფხულო ჩემპიონატის დამთავრებამდე ორი ტური რჩება. ოცგუნდიან ცხრილს თექვსმეტი ტურის შემდეგ სათავეში უდგას „რივერ პლეიტი", რომელმაც ბოლო შეხვედრაში სტუმრად 20 აჯობა „ფეროკარილ ოესტეს". „რივერ პლეიტის" მსგავსად 34 ქულა აქვს „ნიუელს ოლდ ბოისს". ამ გუნდმა ბოლოს „ურაკან დე ტრეს არროიოსს" მოუგო 2:1. დიეგო მარადონას გუნდი „ბოკა ხუნიორსი" 18 ქულით მეთერთმეტე ადგილზეა. მოგეხსენებათ, დიეგო ამ ჩემპიონატის ბოლო ორ შეხვედრაში მონაწილეობას აღარ მიიღებს და საქმეში წლის მეორე ჩემპიონატიდან ანაც აგვისტოს ბოლოდან ჩაებმება.**

იტალიაში ფეხბურთელთა ასოციაციამ დაიწყო სერია A-ს კლუბების მოთამაშეთა გამოკითხვა. მათ სთხოვეს დაესახელებინათ საუკეთესო ფეხბურთელი, საუკეთესო უცხოელი, საუკეთესო მწვრთნელი, ახალგაზრდათა შორის საუკეთესო, საუკეთესო მეკარე და მსაჯი. დასასახელებელია საუკეთესო სპორტული პროგრამაც. ასოციაციის პრესმდივანმა განაცხადა, რომ დაჯილდოების ცერემონიალი და დიდი შოუ წლის მიწურულს, ზამთარში გაიმართება.

**საფრანგეთის ვიცე-ჩემპიონმა „პარი სენ ჟერმენმა" „ლიონისგან" იყიდა თავდამსხმელი ფლორიან მორისი, რომელშიც 41 მილიონი ფრანკი ანუ 6,8 მილიონი დოლარი გადაიხადა.**

ინგლისური ფეხბურთის ამომავალი ვარსკვლავი დენი მერფი „ლივერპულში" გადავიდა. 20 წლის მერფი ნახევარმცველია. ის „კრუში" თამაშობდა და ამ გუნდის მეორედან პირველ დივიზიონში აყვანაში უდიდესი როლი ითამაშა. ლივერპულელებმა მასში კონალამ 3 მილიონი გირვანქა გადაიხადეს. საქმე ისაა, რომ სამედიცინო შემოწმებამ აჩვენა — ფეხბურთელს მთლად ჯანმრთელი მუხლი არ აქვს. ამის გამო ჯერჯერობით გადახდილია 1,5 მილიონი, თუმცა, არაა გამორიცხული, საბოლოო თანხა მაინც 3 მილიონამდე ავიდეს. მერფი ახალ თანაგუნდელებს მომავალ კვირაში შეუერთდება, მას მერე, რაც ისინი სკანდინავიიდან დაბრუნდებიან, სადაც „ლივერპული" შეკრებას გადის. დღეს ინგლისური კლუბი ამხანაგურად „გიოტებორგს" ეთამაშება.

**ესპანეთის „ვალენსიამ" განაცხადა, რომ ცნობილი ბრაზილიელი ფორვარდი რომარიო ვალდებულია მათთან დაბრუნდეს და ახალი სეზონისთვის მოემზადოს. თავად ფეხბურთელი წინააღმდეგია. იგი ამბობს, ესპანეთში რომ წავიდე, ოჯახს დავშორდები, რაც არ მსურსო. არადა, ვალენსიელთა მიერ წარდგენილი დოკუმენტების თანახმად, ფეხბურთელი 22 ივლისის შემდეგ სხვა გუნდში ვერ ითამაშებს, რადგან მათი საკუთრებაა და „ფლამენგოში" მხოლოდ დროებით იყო წასული.**

პოლონეთის ეროვნული გუნდის ყოფილი მწვრთნელი ანჯეი სტრეილაუ ჩინური გუნდის „შანხაი შენხუას" თავკაცი გახდა. 54 წლის სპეციალისტი თავისი ქვეყნის ნაკრებს 1989-93 წლებში ედგა სათავეში. წლეულს, აპრილში მან „შენხუას" მრჩევლად დაიწყო მუშაობა, ახლა კი საქმეს თავად მოჰკიდა ხელი. შეგახსენებთ, რომ „შანხაი შენხუა" და მისი ქართველი მეკარე გოჩა ჟორჟოლიანი 1995 წელს ჩინეთის ჩემპიონები გახდნენ. მიმდინარე პირველობაზე შანხაელები მეორე ადგილზე არიან. მათ „დალიან ვანდა" უსწრებს.

**ნიგერიის ფეხბურთის ფედერაციამ ეროვნული ფეხბურთის ტექნიკური მრჩეველი, ფრანგი ფილიპ ტრუსიე მისი ნებართვის გარეშე ქვეყნიდან აქეთ-იქით მოგზაურობაში დაადანაშაულა. ფაქსში, რომელიც ნიგერიელებმა ტრუსიეს პარიზში გაუგზავნეს, მისი ასლი კი სხვადასხვა სააგენტოებს აახლეს, წერია, რომ მიუხედავად მომავალ თვეში დანიშნული ორი უმნიშვნელოვანესი მატჩისა, ფრანგი პარასკევს ქვეყნიდან ისე გავიდა, რომ არავისთვის წარუდგენია შესაფერისი თხოვნის წერილი. აღსანიშნავია, რომ ტრუსიეს მუშაობით ნიგერიული პრესა ისედაც უკმაყოფილო იყო.**

იუგოსლაველმა დრაგან სტოიკოვიჩმა, რომელიც იაპონიის ლიგაში თამაშობს, ერთ-ერთი შეხვედრის დროს მსაჯი გალანძღა, რისთვისაც ოთხ მატჩში მონაწილეობა აუკრძალეს. მას მერე, რაც 32 წლის მოთამაშე „გრამპუს ეითში" გადავიდა, სამი წელია გასული და ამ ხნის მანძილზე იგი უკვე მეშვიდედ გააძევეს მოედნიდან.

**თურქეთში საფეხბურთო ხულიგნობაში მხილებული შვიდასზე მეტი ადამიანი სტადიონებზე ვეღარ ივლის. ისინი გასულ სეზონში ფეხბურთელების და მსაჯების მიმართ ტრიბუნებიდან გამორჩეულ აგრესიას ავლენდნენ და ამიტომაც დასაჯეს.**

ინგლისში, ვინჩესტერის სასამართლოში გრძელდება საფეხბურთო მექრთამეობის საქმის გარჩევა. მის მორიგ სხდომაზე „ლივერპულის" ყოფილმა მეკარემ ბრიუს გრობელაარმა განაცხადა, ჩემს გუნდს ვერასდროს ვუღალატებდი და ქრთამის საფასურად გოლებს ვერ გავუშვებდიო. 39 წლის ზიმბაბველის თქმით, 1981 წელს „ლივერპულში" გადასვლა იყო უდიდესი ბედნიერება. მან ისიც გაიხსენა, რომ როდეზიის ჯარში მსახურობისას, მის ოცნებას ოდესმე ამ გუნდში თამაშის თაობაზე, თანაპოლკელები მასხრად იგდებდნენ. გრობელაარმა განაცხადა, რომ ბრალდება თავიდან ბოლომდე თითიდანაა გამოწოვილი.

**გერმანელმა ფეხბურთელმა გვიდო ბუხვალდმა, რომელიც იაპონიის ჯეილიგის კლუბ „ურავა რედ დაიმონდში" თამაშობს, მიიღო 204 035 ხმა და გახდა უმთავრესი, ვისი ნახვაც სურთ იაპონელებს „ოლ სტარის" შეხვედრაში. მას ასეთი პატივი მეორედ ხვდა წილად. ამრიგად, ბუხვალდი იქნება აღმოსავლეთის გუნდის კაპიტანი. მასთან ერთად ითამაშებენ ბრაზილიელები ჟორჟინიო, ბისმარკი, ედილსონი და იაპონელი ვარსკვლავი კაზოიუში მიურა. დასავლეთის გუნდში იქნებიან კამერუნელი პატრიკ მბომა, ბრაზილიელი დუნგა და ადგილობრივი ბომბარდირი აკიჰირო ნაგაშიმა. აღმოსავლელთა მწვრთნელი იქნება ბრაზილიელი ნიკანორ კარვალიო ჟუნიორი, ხოლო დასავლელთა — ინგლისელი სტიუარტ ბაქსტერი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი
## სპორტული ლატარია
## "CROCO"

### ინტერტოტოს გათამაშება. V ტური

19 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| პოლონია — დუისბურგი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ჰერენვენი — ოლბორგი | 2,0 | 3,0 | 2,7 |
| ბასტია — გრაცერი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| სილკებორგი — ებიუ ვეილი | 1,1 | 5,0 | 10,0 |
| სალამინა — ოსერი | 12,0 | 6,0 | 1,05 |
| 1:0 | 6,0 | 3,6 | 1,1 |
| ანტვერპენი — ლოზანა | 3,4 | 3,4 | 1,6 |
| კიოლნი — სტანდარდი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| არაუ — კორკ სიტი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| სტაბეკი — დინამო | 5,0 | 3,3 | 1,4 |
| გენკი — პანახაიკი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ჰამბურგი — სამსუნსფორი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ოდენსე — კაუნასი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ვაშაში — ვერდერი | 7,0 | 4,2 | 1,2 |
| ისტანბულსფორი — ესტერი | 1,05 | 6,0 | 12,0 |
| 0:1 | 1,2 | 3,4 | 6,0 |
| ლომელი — ჰაიდუკი | 1,8 | 3,1 | 3,1 |
| ჰალმშტადი — ტურკუ | 1,2 | 4,2 | 7,0 |
| რაპიდი — ლიონი | 2,2 | 2,9 | 2,4 |
| აუსტრია — ოდრა | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| მონპელიე — გრონინგენი | 1,2 | 4,0 | 8,0 |
| ჩუკარიჩკი — ვარნა | 1,3 | 3,4 | 6,5 |
| მაკაბი (ჰაიფა) — ნოვგოროდი | 3,0 | 2,9 | 1,9 |
| ანთალიასფორი — პროლეტერი | 1,6 | 3,1 | 4,0 |
| ტორპედო — რიდი | 1,15 | 4,7 | 8,0 |
| ირაკლისი — ფლორიანა | 1,05 | 6,0 | 12,0 |

### გერმანიის ლიგის თასი

18 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ლევერკუზენი — კარლსრუე | 1,5 | 3,0 | 5,0 |

20 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| დორტმუნდი — ბოხუმი | 1,2 | 4,0 | 8,0 |

### შვეიცარიის ჩემპიონატი. IV ტური

19 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| ბაზელი — სერვეტი | 1,8 | 2,8 | 3,4 |
| კარუჟი — კრინსი | 1,6 | 3,0 | 4,2 |
| გრასჰოპერი — ქსამაქსი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ლუცერნი — სენტ გალენი | 1,8 | 3,0 | 3,2 |

### მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები

20 ივლისი

| | | | |
|---|---|---|---|
| არგენტინა — ვენესუელა | 1,01 | 8,0 | 16,0 |
| 0:2 | 1,2 | 3,2 | 7,0 |
| ბოლივია — ურუგვაი | 1,7 | 2,9 | 3,8 |
| კოლუმბია — ეკვადორი | 1,5 | 3,0 | 5,0 |
| ჩილე — პარაგვაი | 1,6 | 3,0 | 4,2 |

## CROCO-2
### ტირაჟი №46

1. ჰერენვენი — ოლბორგი
2. ანტვერპენი — ლოზანა
3. ლომელი — ჰაიდუკი
4. რაპიდი — ლიონი
5. მაკაბი — ნოვგოროდი
6. ბაზელი — სერვეტი
7. კარუჟი — კრინსი
8. ლუცერნი — სტ. გალენი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი.

7 შედეგის გამოცნობისთვის მოგება ფიქსირებულია — 5 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება JACK POT

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა.
თბილისში — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე;
ქუთაისში — ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში, პუშკინის ქუჩა 16.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები დააზუსტეთ ადგილზე

## კრივი

ჭაბუკთა ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატები, შეიძლება ითქვას, მოზარდი სპორტსმენების პირველი სერიოზული გამოცდაა, რადგან სწორედ ამ შეჯიბრებებიდან იწყება დიდი სპორტისკენ მიმავალი მძიმე და საპატიო გზა. ჭაბუკთა კონტინენტურ ან მსოფლიოს ჩემპიონატზე გამარჯვებულნი პერსპექტიული და ნიჭიერი სპორტსმენის სახელს უმალ იმსახურებენ. ამის შემდეგ საკუთარი თავის რწმენაც ემატებათ და მწვრთნელ-პედაგოგებიც სხვაგვარად აფასებენ. რაც მთავარია, გაჭირვებული ქვეყნის შვილიც რომ იყო, თვით საქართველოსიც კი, ვისაც ხელეწიფება, ყველა მოწყალედ გადახედავს და სამომავლოდ ხელშეწყობაც მეტი ექნება. ეს კარგად მოეხსენებათ სპორტულ სარბიელზე ახალფეხშედგმულთ, ამიტომაც უჩვეულო გულმოდგინებით ემზადებიან ამგვარი ასპარეზობებისთვის. საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა გიორგი კანდელაკმაც საგულდაგულოდ მოამზადა გუნდი მოკრივეთა ევროპის ჩემპიონატისთვის. ვარჯიში და შეკრება არ მოაკლო ახალგაზრდა შეგირდებს: ჯერ ვარიანში გაიარა გუნდმა შეკრება კანდელაკის შემწეობით, შემდეგ კრივის ფედერაციასა და

# გულს ნუ გაიტეხთ, ბიჭებო!

გულუხვი მეცენატების ხელშეწყობით ორი კვირით ქუთაისში გაემგზავრნენ, ბოლო მოსამზადებელ ეტაპად კი ბორჯომი არჩიეს და აქ თურქეთის ჭაბუკთა ნაკრებს ამხანაგური შეხვედრაც გაუმართეს. მასპინძლის კვალობაზე ცუდად მოიქცნენ ჩვენებურები: ცამეტმა ქართველმა ცამეტი თურქი სცემა და ასე გულნაკლულნი გაუშვა სტამბულს. არც ერთ წონით კატეგორიაში არ მიეცათ ოსმალთა შთამომავლებს გურჯთა დამარცხების შანსი. თურქებზე ძალამოსინჯულმა ქართველმა ჭაბუკებმა ბარგი ჩაალაგეს, ბორჯომი დატოვეს და მაკედონიას მიაშურეს, იმ იმედით, რომ თურქთა მძლეველთ არც სხვა ევროპელ მოკრივეებთან გაუჭირდებოდათ გამკლავება. საქართველოს ჭაბუკ მოკრივეთა ნაკრებში 13 სპორტსმენი იყო, 1 ბათუმელი, 2 ფოთელი და 10 გორელი. მოკლედ, საევროპოჩემპიონატო გუნდში ვერც ერთი თბილისელი მოკრივე ვერ მოხვდა.

სამწუხაროდ, მაკედონიაში ყიჩად და დიდგულად ჩასულ ქართველ ჭაბუკებს თავიანთი ოცნების ასრულება არ ეწერათ. მათ არათუ დაუმტკიცეს ევროპას თავიანთი მკლავის ძალა და სიმარჯვე, იქიდან ისე დაბრუნდნენ, ხელიც არ გაუქნევიათ. კრივის ევროპის ფედერაციის პრეზიდენტის ემილ ჟელჩევის გადაწყვეტილება კატეგორიული და შეუვალი იყო — საქართველოს ჭაბუკ მოკრივეთა ნაკრები არ დაუშვეს ევროპის ჩემპიონატზე.

გაწბილებული ქართული დელეგაციის მაკედონიიდან დაბრუნება შაბათ-კვირის უქმეებს დაემთხვა და რაკი კრივის ფედერაციაში ჟელჩევის განრისხების მიზეზის გაგების შანსი ნაკლები იყო, გორს მივაშურე. იქ ნაკრებიც მწვრთნელები — გიორგი კანდელაკი, ავთო შოშიაშვილი და 10 იმედგაცრუებული გორელი ჭაბუკი მეგულებოდა. პირველი, რაც გავარკვიე, ის იყო, რომ 7 გორელი მოკრივე საკუთარი ხარჯებით წასულა ჩემპიონატზე. დასამალი არ არის, ამ შვიდეულის მშობლებმა და ნათესავებმა ზოგმა მარჩენალი ძროხა დაკლა, ზოგმა ავტომანქანა გაყიდა, ერთმა პროცენტიანი ვალიც კი აიღო, მათ ყველაფერი გააკეთეს, რომ დიდი სპორტის გარიჟრაჟზე შვილებისთვის არ ემტყუნათ, დანარჩენი 6 მოკრივე კი გიორგი კანდელაკისა და სპონსორების შემწეობით გაემგზავრა მაკედონიას. დღეს გორში ვის დააჯერებ, რომ გუნდში თბილისელ მოკრივეთა არყოფნა არ იყო მათი გაწბილების მიზეზი.

— ეგ ყველაფერი თბილისში, სპორტკომიტეტში და ფედერაციაში ჩაწყობილი საქმეაო — მიმტკიცებენ მშობლები და რა დაარწმუნებთ, რომ თბილისელობა და გორელობა არაფერ შუაშია და საქმე სხვაგვარად იყო. როგორ? ახლავე მოგახსენებთ.

თავდაპირველად ევროპის ჩემპიონატზე 6 ქართველი მოკრივის გაგზავნა იყო განზრახული. მოგეხსენებათ, ჭამა ქონებაზე ჰკიდია. კანდელაკმა და კომპანიამ მხოლოდ ნახევარი გუნდის დაფინანსება მოახერხა. შესაბამისად, კრივის ფედერაციაში ამ 6 მოკრივეს გაუმზადეს დოკუმენტები, ყოველგვარი წესების დაცვით, თითოეულს კრივის ევროპის ფედერაციის ახალი სპორტსმენის პირადობის დამადასტურებელი წიგნაკები მისცეს, რომელშიც სხვა მონაცემებთან ერთად სპორტსმენის სამედიცინო შემოწმების შედეგიც ფიქსირდება. რომ იტყვიან, ამ ექვსეულის საბუთები ქვას გახეთქავდა. მაგრამ, შემდეგ, როცა დანარჩენ 7 წონით კატეგორიაშიც გამოჩნდნენ ჩემპიონატზე წამსვლელები, ოღონდ, საკუთარი ხარჯებით და სრული გუნდის გაშვების პერსპექტივაც გაჩნდა, საჭირო გახდა კიდევ 7 წიგნაკის გამზადება. ნახევარს რომ მთელი სჯობია, ეს ჩემზე უკეთ კრივის ფედერაციაში იციან, ამიტომ არ დაუხანებიათ ჩემპიონობამოწყურებული ჭაბუკებისთვის დოკუმენტების მომზადება, მაგრამ, სამწუხაროდ, ახლებური ტიპის წიგნაკები არ აღმოაჩნდა ფედერაციას და ამ ბიჭებსაც ძველი, უკვე ნახმარი წიგნაკები შეუვსეს, შესაბამისად, სამედიცინო კომისიის დასკვნაც იქ ჩაიწერა. ალბათ, გაგიკვირდებათ, იკითხავთ, ეს მრავალჯერადი ხმარების წიგნაკები რაღა არისო. გაგიმარტავთ: წიგნაკის პირველ გვერდზე იწერება მოკრივის გვარ-სახელი, სადაურობა, წონითი კატეგორია და მისი ფოტოსურათიც იკვრება. თუ გაჭირდა, ზოგიერთი ფედერაციის მესვეურნი ფრჩხილების ლაქით გვარ-სახელსა და წონით კატეგორიას, თუ უკანასკნელიც შესაცვლელია, გადაშლიან, სხვა სპორტსმენის მონაცემებს ჩაწერენ, სურათის შეცვლაც არ არის პრობლემა, ბეჭედს დაარტყამენ და სპორტსმენსა თუ გუნდს უშვებენ საერთაშორისო შეჯიბრებებზე. საინტერესოა, რომ დღემდე მოკრივეთა არც ერთ საერთაშორისო შეჯიბრების საორგანიზაციო კომიტეტს არ დაუწუნებია გადაკეთებულ-გადმოკეთებული ეს წიგნაკები. სხვათა შორის, ცოტა ხნის წინ ბირმინგემში, ევროპის ახალგაზრდულ ჩემპიონატზე საქართველოს გუნდი ამგვარი საბუთებით გაემგზავრა. ჩვენები ჩემპიონატზეც დაუშვეს და გიორგი გაზაშვილმა ბრინჯაოს მედალიც მოიპოვა.

მაგრამ კოკა მაინც წყალზე გატყდა: მაკედონიის ევროპის ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტმა 12 ქართველის წიგნაკი, მიუხედავად იმისა, რომ იქიდან ზოგი ძველმოდური იყო, ვარგისად ცნო, მაგრამ მეცამეტე, 63 კილოში მოასპარეზე რამაზ შოშიაშვილის წიგნაკი არ ეპიტნავა, გაქექეს, გაქექეს და აღმოაჩინეს, რომ ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატის დებიუტანტ შოშიაშვილის წიგნაკი 1993 წელს უფროსებში მის ევროპის ჩემპიონობას ადასტურებდა, თანაც, 91 კილოგრამ წონით კატეგორიაში. დიახ, შოშიაშვილს სწორედ გიორგი კანდელაკის წიგნაკი აღმოაჩნდა. ამის შემდეგ მისდგნენ ევროპული კრივის პატრონების დამცველები და დანარჩენი 6 ლაქგადასმული წიგნაკიც გამიფრეს. ჰოდა, ის აღმოაჩინეს, რაზეც ჩვენ კარგა ხანია, ვსაუბრობთ. ამ აღმოჩენით კი ყველაზე მეტად თურქეთისა და უკრაინის სპორტულმა დელეგაციებმა გაიხარეს: უკრაინელებმა თურქეთის ნაკრების ხელმძღვანელებისგან კარგად იციოდნენ ქართველთა სიძლიერის შესახებ, საქართველოს ნაკრები ჩემპიონატის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლებოდა, ამიტომ, სწორედ თურქებმა და უკრაინელებმა აიძულეს ბულგარელი ემილ ჟელჩევი, საქართველოს ნაკრები შეჯიბრებიდან მოეხსნა. ისიც საგულისხმოა, რომ ჟელჩევის მოადგილეები უკრაინელი გაიდანოკი და თურქი დაგანელი არიან. „კი, ბატონო, დავაშავეთ. 7 კაცის საბუთები წესრიგში არ არის, ხეირიანწიგნაკიანმა ექვსმა ბიჭმა რა დაგიშავათ, ისინი მაინც დაუშვით ჩემპიონატზე" — სთხოვეს ჩვენი დელეგაციის თავკაცებმა ჟელჩევს. ამაზეც უარი თქვა ბულგარელმა დოქტორმა, თუმცა შანსი მაინც მისცა ჩვენებურებს: თუ ჩემპიონატში მონაწილე ყველა ქვეყნის დელეგაცია დაგრთავთ ნებას, მაშინ დაგიშვებთ სრული გუნდითო. თუმცა, ვირეშმაკა ჟელჩევმა კარგად იცოდა, რომ თურქები და უკრაინელები არ იყვნენ იმის ჩიტები, ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის — საქართველოს ნაკრების უბრძოლველად ჩამოცილების შანსი ხელიდან გაეშვათ. ასეც მოხდა: 27 ქვეყნის ნაკრების ხელმძღვანელობამ გზა გაუხსნა ჩვენს ჭაბუკ მოკრივეებს ევროპული რინგისკენ, მაგრამ თურქებმა და უკრაინელებმა ვეტოს უფლება გამოიყენეს და ჟელჩევი აიძულეს, ქართველები სამაგალითოდ დაესაჯა.

იქნებ ამ ფაქტზე არც ღირდა ყურადღების გამახვილება, მავანთა შეცდომებისა თუ დაუდევრობის საქვეყნოდ გამომზეურება, მაგრამ ეს პირველი შემთხვევა თუ შეცდომა იყო, რის წყალობითაც რომელიმე ქვეყნის სრული გუნდი არ დაუშვეს ასეთი მაღალი დონის ასპარეზობაზე. კრივის საერთაშორისო ფედერაციებს, არც ევროპისას და არც მსოფლიოსას, მანამდე ამგვარი პრეცედენტი არ დაუშვიათ. მეორეც, მოგეხსენებათ, ქართულ სპორტს და, მით უმეტეს, ქართულ კრივს მეტად უჭირს, მაკედონიაში, ევროპის ჩემპიონატზე 13-კაციანი გუნდისა კი არა, თითო-ოროლა მოკრივის გაგზავნა აქვე ყურისძირში, მეზობელ ქვეყნებშიც კი დიდი პრობლემა და თავსატეხია, გიორგი კანდელაკმა და მისმა ხელშემწყობმა ხალხმა კი ჩვენს პირობებში შეუძლებელი შეძლეს, რომ დასცლოდათ, მეტსაც გააკეთებდნენ — ბიჭებს სულ ცოტა 6-7 სხვადასხვა ხარისხის მედალი უნდა ჩამოეტანათ მაკედონიიდან, მაგრამ ხელცარიელნი და გულგატეხილნი დაბრუნდნენ.

მავანი, რა თქმა უნდა, ხელაღებით კრივის ფედერაციას დაადანაშაულებს, მაგრამ მთლად ასეც არ არის საქმე. გადაკეთებული წიგნაკებით საერთაშორისო ტურნირებზე მოკრივეთა გაგზავნა ფედერაციის ახლანდელ თავკაცებს არ მოუგონებიათ, ისინი კარგად აპრობირებული და მემკვიდრეობით დატოვებულ ტრადიციებზე დაყრდნობით მოქმედებდნენ, მით უმეტეს, თუ ამ გამოცდილების გამოყენების წყალობით არაერთი ხიფათი გაიარეს უსაფრთხოდ ჩვენმა მოკრივეებმა და შინაც მედლებით ხელდამშვენებულნი დაბრუნდნენ. არც იმის თქმა ივარგებს, რომ ემილ ჟელჩევი, ადრე ქართველთა მიმართ მეტად ლმობიერი და კეთილგანწყობილი პრეზიდენტი, ახლა შეიცვალა და მტრად მოგვეკიდა. უბრალოდ, შესაძლოა, ადრე ერთ-ორ შეთითხნილ საბუთს ყურადღებას არ აქცევდნენ, როცა გუნდის დანარჩენი წევრების დოკუმენტაცია უზადო იყო. აი, ერთდროულად 7 გადაკეთებული წიგნაკი კი, ეტყობა, ველარ მოინელეს. ისიც სათქმელია, რომ ამ შემთხვევამდე არა მარტო ქართველნი, არამედ უზბეკი, აზერბაიჯანელი და სომეხი მოკრივეებიც ხშირად ასპარეზობდნენ შეუფერხებლად დიდ ტურნირებზე ამგვარი მეთოდით. წიგნაკების გადაკეთება მათთვისაც ჩვეულებრივი ამბავია, მაგრამ ქართველების გამორჩეულობის მოგეხსენებათ — ოღონდ ჩვენზე ჯოხი კი არა, სახრე გადატყდეს.

გაფუჭებულ საქმეს რაღა ეშველება. მაკედონიაში ევროპის ჩემპიონატი რახანია, დამთავრდა უქართველებოდ, მათ, ვისაც ეს უხებოდა, საკუთარი შეცდომაც შეიგნეს და მოინანიეს, მაგრამ მთავარნი უჩემპიონატოდ დარჩენილი, ბრძოლას მოწყურებული 15-16 წლის ბიჭები არიან, კიდევ — მათი მშობლები და ქომაგები, სხვათა გამოისობით იმედგაცრუებულნი რომ დარჩნენ, მაგრამ გამოსავალი მაინც მოიძებნა: მაკედონიაში გაწბილებულ მოკრივეებს კრივის ფედერაცია საკუთარი სახსრებით და ამჯერად უხინჯო წიგნაკებით უახლოეს საერთაშორისო ტურნირზე გამგზავრებას ჰპირდება. ეს, ალბათ, ოქტომბერში მოხდება. საერთაშორისო ტურნირი, რა რანგისაც უნდა იყოს, ვერ შეცვლის ევროპის ჩემპიონატს, მაგრამ მაინც ღირს თავგამოსაჩენად. მანამდე კი, გულს ნუ გაიტეხთ, ბიჭებო, უარესიც ხდება, დიდსულოვნად შეუნდეთ და აპატიეთ ცოდვილთ, ხელები დაიკაპიწეთ, ხელთათმანები მოირგეთ და დაუმტკიცეთ მაძღარ მსოფლიოს, რომ სხვაზე ჯაბანნი არა ხართ. მით უმეტეს, თქვენს საკეთებელს სხვა ვერ გააკეთებს.

**ლევან ჯავახიშვილი**

## წყალში ხტომა

სპორტის ყველა სახეობას თავისი გულშემატკივარი ჰყავს. იქნებ ზოგს გულზე არ ეხატება, მაგრამ წყალში მხტომელთა თავგადაკლული ქომაგნიც მრავლად არიან. მათ ლიანა ცოტაძის, სერგო შალიბაშვილისა და [illegible] გამარჯვებების მოგონება ამხნევებთ და ორიოდ პერსპექტიული ახალგაზრდა სპორტსმენის მომავალი წარმატებების იმედი შერჩათ. მათგან ერთ-ერთი, [illegible] დიდი სპორტის კარიბჭესთან რომ დგას, ეს ატლანტის [illegible] დამტკიცა — შემთხვევით ოლიმპიადაზე ვერ მოხვდები, ეს ძველი ჭეშმარიტებაა. გარდა ამისა, გოჩას ძველი, საბჭოეთისდროინდელი გამარჯვებებიც გვაძლევს იმედს, რომ ეს 23 წლის ახალგაზრდა ტყუილად არ იკლავს თავს ვარჯიშით და მალე მსოფლიოში საუკეთესოთ გაუწევს ღირსეულ მეტოქეობას.

# ჩემი დროც მოვა...

**— გოჩა, რა არის საჭირო, რომ უძლიერეს წყალში მხტომელებს, როგორც ტოლი-ტოლს, ისე „დაელაპარაკო"?**

— უწყვეტი ვარჯიში და არა სეზონური, როგორც მე მიხდება. ასე დიდ წარმატებებზე ფიქრი შეუძლებელია.

**— კერძოდ, ვის თვლი ძირითად კონკურენტებად?**

— ძალიან ძლიერნი არიან ჩინელი სპორტსმენები, რა თქმა უნდა, რუსი დიმიტრი საუტინი. მან 3 და 10 მეტრზე მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო. მაგრამ ჯერ უძლიერესებს ვერ შევეტოქები. მე ნელ-ნელა შევდივარ ფორმაში, მით უმეტეს, 4 წელი გამოვტოვე და არ ვვარჯიშობდი. ამიტომ ამ ეტაპზე მათთან ჭიდილი გამართლებულად არ მიმაჩნია. ამის დროც მოვა. სხვათა შორის, 18-19 წლის რომ ვიყავი, საუტინი და მე, რომ იტყვიან, ერთი დონის სპორტსმენებად ვითვლებოდით, მისთვის მოჯობნია კიდეც, მაგრამ ახლა იგი დაწინაურდა. მიზეზი, რა თქმა უნდა, ჩემი დაკარგული 4 წელია და საქართველოში არსებული სიდუხჭირე.

**— მაინც, ოლიმპიადაზე მეტად ცუდად გადახტი — 26-ე იყავი...**

— ოლიმპიადამდე მხოლოდ 3 თვე ვივარჯიშე. არა, თავს არ ვიმართლებ, სამთვიანი ვარჯიშითაც შემეძლო მეტის მიღწევა, მაგრამ მესამე ნახტომი გამიცუდდა, არადა, პირველი ორი ნახტომით მე-16 ვიყავი და ფინალში მოხვედრის შანსი მქონდა, მაგრამ...

**— რატომ გაგიცუდდა ის ნახტომი?**

— რა ვიცი, თავიდანვე კარგად ვერ დავიწყე ილეთის შესრულება, ასე ვთქვათ, ფსიქოლოგიური მომენტი იყო.

**— ფსიქოლოგი არ გყავდათ?**

— არა, წყალში მხტომელებს ფსიქოლოგები არ გვჭირდება, ჩვენი თავის ფსიქოლოგები თვითონ ვართ.

**— ახლა რას აპირებ?**

— მსოფლიო უნივერსიადისთვის ვემზადები.

**— მიზანი?**

— მინდა, ათეულში მოვხვდე.



ატლანტის სახსოვარი: გოჩა გახარია და აკიმ ოლაჯუონი

**— გიორგი ჩოგოვაძისა რა ისმის?**

— გიორგი რუსეთშია, ახლა ჩამოსვლას აპირებს. 2 წელი ცსკა-ში გამოდიოდა რუსეთის სახელით.

**— თავისუფალ დროს რას აკეთებ?**

— თავისუფალი დრო ნაკლებად მაქვს, რადგან ძირითადად ვარჯიშით ვარ დაკავებული.

**— წყალში ხტომის გარდა სპორტის რა სახეობები გიტაცებს?**

— ძიუდო, ფეხბურთი და კალათბურთი. ფეხბურთს ვთამაშობ კიდეც მეგობრებთან ერთად.

**— შენი უმთავრესი მიზანი?**

— მინდა ერთ-ერთი უძლიერესი ვიყო მსოფლიოში. ვგრძნობ, პოტენციურად ეს შემიძლია. თუ მექნება ხელშეწყობა და მომზადების ნორმალური პირობები, დავამტკიცებ, რომ სხვაზე ნაკლები არა ვარ და ატლანტაში ჩემი „ჩავარდნა" შემთხვევითი იყო.

**ლევან ჯავახიშვილი**

## ავტორბოლა

# ზანარდი დაგვრიალდა

გასულ კვირას, ოჰაიოს შტატში, კლივლენდის ბურკ ლეიკფრონტის აეროდრომის საფრენ ბილიკებზე სახელდახელოდ მოწყობილ 2 106 მილიან ტრასაზე CART-ის მორიგი ეტაპი გაიმართა.

პოლი ზანარდიმ მოიგო. მან ჯერ კიდევ პარასკევს დაამყარა ტრასის რეკორდი — ერთი წრე 132,031 მილ-სთ სიჩქარით გაიარა, შაბათს კი ეს მიღწევა გააუმჯობესა — 133,048 მილ-სთ. მის გვერდით, პირველ რიგში ადგილი დე ფერანმა მოიპოვა, მათ უკან კი ბლანდელი და ანდრეტი განლაგდნენ. ჩემპიონატის ლიდერი ტრეისი მხოლოდ მე-10 იყო. ბოლო სასტარტო ადგილი კი დებიუტანტს, დალასელ ნეარბურგს ერგო.

განლაგება სტარტზე: ზანარდი (რეინარდ-ჰონდა), დე ფერანი (რეინარდ-ჰონდა), ბლანდელი (რეინარდ-მერსედესი), ანდრეტი (სვიფტ-ფორდი), ფიტიპალდი (სვიფტ-ფორდი), გუგელმინი (რეინარდ-მერსედესი), ჰერტა (რეინარდ-ფორდი), რიბეირო (რეინარდ-ჰონდა), რაჰალი (რეინარდ-ფორდი), ტრეისი (პენსკე-მერსედესი), ფრანკიტი (რეინარდ-მერსედესი), სალეში (რეინარდ-ფორდი), მური (რეინარდ-მერსედესი), ბოესელი (რეინარდ-ფორდი), ვასერი (რეინარდ-ჰონდა), პრუეტი (რეინარდ-ფორდი), ჯონსტონი (რეინარდ-ჰონდა), ანსერი (პენსკე-მერსედესი), კარპენტიე (რეინარდ-მერსედესი), ჟურდენი (ლოლა-ფორდი), ჯონსი (რეინარდ-ტოიოტა), პაპი (რეინარდ-ტოიოტა), ფანხიო (რეინარდ-ტოიოტა), პერნი (ლოლა-ფორდი), ფერნანდესი (ლოლა-ჰონდა), მაცუშიტა (რეინარდ-ტოიოტა), მეიერი (ლოლა-ფორდი), ნეარბურგი (ლოლა-ფორდი).

სტარტზე ზანარდი და დე ფერანი დაწინაურდნენ. იტალიელს მეორე წრის შემდეგ რადიო გაეთიშა და ბოქსებიდან ინსტრუქციებს ველარ იღებდა, ეს კი რბოლისას ორიენტაციას ართულებდა. 22-ე წრეზე რიჩი პერნის „ლოლას" უკანა საბურავი გაუსკდა და ბარიერს შეეჯახა, მსაჯებმა ყვითელი ალმები გამოფინეს. პილოტთა ნაწილმა, ზანარდის თავკაცობით, ბოქსებში შეუხვია და საბურავები შეცვალა, მაგრამ მათ ბოქსებში შესვლის ნება ჯერ არ ჰქონდათ და დააჯარიმეს. ზანარდი 22-ე ადგილზე აღმოჩნდა.



ალექს ზანარდი

ლიდერობა ბლანდელმა იგდო ხელთ, შემდეგ, 24 წრის განმავლობაში დე ფერანი პირველობდა, ეს უკანასკნელი კი ფიტიპალდიმ შეცვალა. ახალგაზრდა ბრაზილიელი, რომელიც მძიმე ავარიის შემდეგ დაუბრუნდა რბოლას, მშვენიერ ფორმაშია და ყოველთვის მოწინავეთა შორისაა. მსაჯებს ყვითელი დროშების გამოფენა აღარ დასჭირვებიათ და პილოტებიც მწვანე ალმების დროს ჩერდებოდნენ ბოქსებში, ეს კი პოზიციის შენარჩუნებას აძნელებდა. 59-ე წრეზე ფიტიპალდიმაც შეცვალა საბურავები, მაგრამ ბოქსებში 35 წამი დაკარგა და ლიდერობას დაემშვიდობა.

ჩამორჩენილთა შორის მოხვედრილი ზანარდი წინ მიიწევდა, როგორობით ასწრებდა მეტოქეებს, სწრაფეს უმატებდა და მხოლოდ მაშინ დაამუხრუჭა, როდესაც პირველ ათეულში მოხვდა. 68-ე წრეზე გრეგ მურიც ჩამოიტოვა და მე-3-ზე გავიდა. კანადელმა გაბრძოლება და დაკარგულის დაბრუნება სცადა, მაგრამ სწორედ ამ მომენტში უმტყუნა ძრავმა. 78-ე წრეზე იტალიელმა მე-2-ზე მყოფ ჰერტასაც გაასწრო და ნელ-ნელა მიუახლოვდა დე ფერანს. ამას ფინიშამდე 10 წრით ადრე მუხრუჭებმა პრობლემები შეუქმნა, თანაც საწვავს უნდა გაფრთხილებოდა და 85-ე წრეზე პირველობა დათმო.

ზანარდიმ თავის ამერიკულ კარიერაში მე-5 გამარჯვება ბოლიდის ტრადიციული ბზრიალით აღნიშნა, „მარლბოროსგან" კი 100 ათასი დოლარი მიიღო პოულიდან გამარჯვებისთვის. მე-7-ზე გასულმა პოლ ტრეისიმ ლიდერობა შეინარჩუნა და მე-2-ზე მყოფ მურს 11 ქულით უსწრებს. დე ფერანი მესამეა, ზანარდი 90 ქულით მე-5 ადგილზეა და 1 ქულით ჩამორჩება ანდრეტის.

**ალეკო ბაბუკიანი**

**რბოლის შედეგები**

| | | |
|---|---|---|
| 1. | ზანარდი (რეინარდ-ჰონდა) | 20 ქულა |
| 2. | დე ფერანი (რეინარდ-ჰონდა) | 16 |
| 3. | ჰერტა (რეინარდ-ფორდი) | 14 |
| 4. | ანსერი (პენსკე-მერსედესი) | 12 |
| 5. | რაჰალი (რეინარდ-ფორდი) | 10 |
| 6. | ფიტიპალდი (სვიფტ-ფორდი) | 8 |
| 7. | ტრეისი (პენსკე-მერსედესი) | 6 |
| 8. | პრუეტი (რეინარდ-მერსედესი) | 5 |
| 9. | ბლანდელი (რეინარდ-მერსედესი) | 4 |
| 10. | ჯონსტონი (რეინარდ-ჰონდა) | 3 |
| 11. | ფრანკიტი (რეინარდ-მერსედესი) | 2 |
| 12. | კარპენტიე (რეინარდ-მერსედესი) | 1 |

*ზანარდიმ დამატებით 1 ქულა მიიღო პოულისთვის*

*დე ფერანმა 1 ქულა — ლიდერობისთვის.*

**პირადი პირველობა**

1. ტრეისი 106 ქულა; 2. მური 95; 3. დე ფერანი 94; 4. ანდრეტი 91; 5. ზანარდი 90; 6. პრუეტი 71; 7. ვასერი 69; 8. ბოესელი 61; 9. გუგელმინი 56; 10. ანსერი 49.

ოლიმპიური დღეები

# ევროპის დასალიერში

ხვალ ლისაბონში იწყება ევროპის ახალგაზრდობის IV ოლიმპიური დღეები, დღეს კი ჩვენი კონტინენტის დასალიერში მდებარე ქვეყნის დედაქალაქისკენ გაემგზავრა საქართველოს დელეგაცია, რომელიც სეოკ-ის შტაბბინიდან საზეიმოდ გააცილეს. ჩვენი 36 სპორტსმენი ევროპის 47 ქვეყნის წარმომადგენლებს შეეჯიბრება ფეხბურთში, ძიუდოში, მძლეოსნობასა და საგზატკეცილო ველორბოლაში.

ჩვენი დელეგაციის ხელმძღვანელობა განსაკუთრებით დიდ იმედებს ამყარებს ძიუდოისტებზე, რომელთა შორის პირველად გამოვლენ გოგონები. ესენი არიან იამზე თურქიშვილი და სოფიკო ჯინორიძე, ხოლო ვაჟთაგან იასპარეზებენ ირაკლი ცირეკიძე, გელა ბარათაშვილი, ნიკოლოზ გილაშვილი, გრიგოლ მამრიკიშვილი, დავით ტატიშვილი, ივანე ნადირაშვილი, დავით ტყეშელაშვილი და შალვა მაზიაშვილი.

ვფიქრობთ, მედლის მოპოვების შანსი აქვთ ჩვენს ფეხბურთელებსაც, რომელთა ქვეჯგუფში მოხვდნენ აზერბაიჯანელები და თავად მასპინძლები.

საქართველოს ფეხბურთელთა გუნდში არიან: ზურაბ ბათიაშვილი, ჟიული ჯოლოხავა, ვალერი აბრამიძე, ოლეგ გველესიანი, ლევან კორღალიძე, დავით დიღმელაშვილი, არჩილ რომანაძე, იოსებ დევიძე, ლაშა ჯაკობია, ვლადიმერ კაკაშვილი, ჯაბა სიამაშვილი, შალვა აფხაზავა, ვალერიან გაგუა, ცეზარ ხუროძე, გიორგი დეკანოსიძე და ედიკი საჯაია.

მძლეოსანთაგან ეტყობა ყველაზე კარგ შედეგს მიაღწევენ ვაჟთა 4X100 მეტრზე ესტაფეტაში ჩვენგან მოასპარეზენი, რომელთა საბოლოო შემადგენლობას ლისაბონში განსაზღვრავენ.

მძლეოსანთა გუნდში არიან: ნინო ბაგაშვილი, დავით ნიკოლაიშვილი, ბადრი ბადრიძე, გიორგი ტაბატაძე, სერგო ტურიაკოვი, მამუკა წიკლაური, დავით მანთიძე და ლევან თურქაძე.

და ბოლოს, გაგაცნობთ ჩვენს ველოსიპედისტებსაც, რომლებიც ლისაბონში ცდიან ძალას. ესენი არიან ლევან მესხიძე და გიორგი მგელაძე.

**ავთო გურასაშვილი**

ხუთჭიდი

## ჩვენ და ამერიკელები:

# ჩემპიონობა ვახტანგურად



ქართველი ხუთჭიდელი, სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორი ვახტანგ იაგორაშვილი უკვე ექვსი წელიწადია ამერიკის ქალაქ ოსტინში სახლობს და იქაურ კლუბში მწვრთნელად მუშაობს. იაგორაშვილი ატლანტის ოლიმპიადაზე საქართველოს სახელით გამოვიდა და მე-20 ადგილზე გავიდა (5226 ქულა).

ვახტანგმა ატლანტაშივე თქვა, რომ სპორტისთვის თავის დანებებას არ აპირებს და საერთაშორისო შეჯიბრებებში კვლავაც საქართველოს სახელით გამოვა. მან თავისი ნათქვამი მაისშიც დაადასტურა, როცა თბილისში რამდენიმე დღით ჩამოვიდა.

საერთაშორისო შეჯიბრებებამდე კი იაგორაშვილმა კვირას სან ანტონიოში ამერიკის შეერთებული შტატების ჩემპიონატი მოიგო. მისი შედეგი 5609 ქულა იყო. აღსანიშნავია, რომ ოლიმპიურმა ჩემპიონმა ყაზახმა ალექსანდრ პარიგინმა ატლანტაში 5551 ქულა დააგროვა. ამდენად, 33 წლის იაგორაშვილის ჩამოწერა ჯერჯერობით ნაადრევია და საქართველოს იგი შეიძლება კვლავაც გამოადგეს.

ველორბოლა

# ცაბელი ულრიხმა შეცვალა

15 ივლისი. მე-10 ეტაპი. ლიუშონიდან ანდორამდე. 252,5 კმ.

15 ივლისს ტურ დე ფრანსის მრბოლელებმა საზღვარი გადალახეს — ეტაპი საფრანგეთის ლიუშონში იწყებოდა, ფინიში კი ანდორის არკალისში ჰქონდა. მე-10 ეტაპი ყველაზე გრძელი არ არის წლევანდელ ტურში, მაგრამ ყველაზე რთული კი ნამდვილად ეთქმის — სპორტსმენები მთაში ასპარეზობდნენ და ექვსი უმძიმესი აღმართიც ჰქონდათ ასავლელი. ტურის გამარჯვებულის ბედი, ფაქტობრივად, ასეთ ეტაპზე წყდება და ამ დღესაც დაძაბული პაექრობა იყო მოსალოდნელი, მაგრამ 45 კილომეტრის გავლის შემდეგ მთელი პელოტონი 2 წუთით გაჩერდა: მათ პატივი მიაგეს 2 წლის წინ დაღუპულ ფაბიო კასარტელის. ფაბიო 1992 წლის ოლიმპიადის ჩემპიონია საგზატკეცილო რბოლაში. 24 წლის მრბოლი 1995 წლის 18 ივლისს სხვებთან ერთად მასობრივ წაქცევაში მოჰყვა და ერთადერთი იყო, ვინც მძიმე ტრავმა მიიღო. იგი საავადმყოფოში მიყვანიდან ნახევარ საათში გარდაიცვალა. მისმა სიკვდილმა ველორბოლაში ჩაფხუტის გამოყენების აუცილებლობა ნათელყო, თუმცა, ძეგლის წინ შეკრებილ სპორტსმენთაგან ბევრს თავზე ახლაც არაფერი ეხურა.

პელოტონის დაძვრა და გაშმაგებული პაექრობის დაწყება ერთი იყო. ჯგროს შემადგენლობა ყოველი აღმართის შემდეგ შემოდგომის ხესავით იძარცვებოდა და მალე მას რამდენიმე მრობლიღა შემორჩა. ფინიშამდე ერთი დიდი აღმასვლა იყო დარჩენილი, როდესაც გერმანელმა იან ულრიხმა გაქცევა შეძლო. ლიდერთა ჯგუფს მისი სადევნი ძალა აშკარად აღარ ჰქონდა და 23 წლის მრბოლმა უახლოეს მეტოქეს წუთზე მეტი მოუგო. წინა დღის წარმატების შემდეგ ფრანგებმა მთელი ეტაპი ჩააფლავეს. რბოლის ლიდერმა სედრიკ ვასერმა ულრიხთან თითქმის 8 წუთი წააგო და ყვითელ მაისურსაც გამოემშვიდობა. წინა ეტაპის გამარჯვებულ ლორან ბროშარს კი მთის მეფის დაწინწკლული მაისური რიშარ ვირანკმა წაართვა.

ეტაპის გამარჯვებული და ტურის ახალი ლიდერი იან ულრიხი უზომოდ ბედნიერი იყო. ბავშვობაში იგი გრეგ ლემონდს ეთაყვანებოდა და მასსავით ტურის ყვითელი მაისურის მორგებაზე ოცნებობდა. აღმოსავლეთგერმანული ქალაქის — როსტოკის 23 წლის მკვიდრმა თავის კერპს ცოტათი აჯობა კიდეც — ლემონდი ტურის ლიდერი უფრო გვიანდელ ასაკში გახდა. ულრიხი სხვა მრბოლთაგან იმით გამოირჩევა, რომ მთიან და ველის სწრაფ ეტაპებზე თანაბრად ძლიერად გამოდის. ახლა იგი გამარჯვების უპირველესი პრეტენდენტია და ტურის შარშანდელმა ჩემპიონმა — ულრიხის თანაგუნდელმა „ტელეკომში“ ბიარნე რიისმაც განაცხადა, რომ ყველანაირად დაეხმარება გერმანელს ტურის მოგებაში.



ცაბელს გამხნევება არ სჭირდება

მე-10 ეტაპი: 1. ულრიხი 7:46,06; 2. მარკო პანტანი (იტალია) +1,08; 3. რიშარ ვირანკი — იგივე დრო; 4. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია) +2,01; 5. ბიარნე რიისი (დანია) +3,23

**ლევან ჩხეიძე**

### საერთო ჩათვლა

1. ულრიხი 55:00.54, 2. რიშარ ვირანკი +2.58, 3. აბრაამ ოლანო (ესპანეთი) +4,46, 4. ბიარნე რიისი +4.53, 5. მარკო პანტანი +5.29, 6. ფერნანდო ესკარტინი (ესპანეთი) +5.46, 7. ლორან დიუფო (შვეიცარია) +6.02... 10. სედრიკ ვასერი +7.31.

კალათბურთი

# კასელის დარჩენა ყველას ემა

„ნიუ ჯერსი ნეთსის“ გამთამაშებელი სემ კასელი თავისუფალი აგენტი იყო, მაგრამ კლუბმა იგი არსად გაუშვა და სამშაბათს 6-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა. ამ ხნის განმავლობაში კასელი 21 მილიონ დოლარს მიიღებს.

ბოლო ერთ სეზონში 27 წლის კასელის საარაკო მოგზაურობისა თვით მიკლუხო მაკლაისაც შეშურდებოდა. შარშან ამ დროს იგი „ჰიუსტონ როკიტსის“ წევრი იყო. შემდეგ ჩარლზ ბარკლის სანაცვლოდ კიდევ სამ ჰიუსტონელ მოთამაშესთან ერთად „ფინიქს სანზში“ გადაბარგდა. დეკემბერში „ფინიქსმა“ და „დალას მავერიქსმა“ ექვსკაციანი ვაჭრობა მოაწყვეს, რომლის მთავარი „საქონელი“ ჯეისონ კიდი „ფინიქსში“ აღმოჩნდა, ხოლო კასელი — „დალასში“. ორი თვეც არ იყო გასული და 17 თებერვალს სემი ცხრაკაციან სავაჭრო გარიგებაში მოხვდა, რომლის ძალითაც „ნიუ ჯერსიში“ იპოვა თავშესაფარი.

ამ კლუბებში კასელმა სულ 61 მატჩი ითამაშა, საშუალოდ 15,9 ქულა და 5,0 პასი დააგროვა. უშუალოდ „ნიუ ჯერსის“ რიგებში 23-ჯერ ითამაშა, საშუალოდ კი 19,3 ქულა და 6,9 პასი გააკეთა. სეზონის ბოლო ექვსი მატჩი კი მარცხენა ბარძაყის კუნთის დაჭიმულობის გამო გამოტოვა.

კასელი თავისუფალი აგენტი კი იყო, მაგრამ დარწმუნებული ყოფილა, რომ „ნიუ ჯერსი“ არსად გაუშვებდა: „ერთი რამ ვიცოდი — არაფერი მოხდებოდა. „ნეთსში“ დასარჩენად ვემზადებოდი, აქ თამაშები უნდა მოვიგო: მწვრთნელი ჯონ კალიპარი კარგი კაცია. მოედანზე არ მზღუდავს და ჩემებურად თამაშის საშუალებას მაძლევს“.

კლუბის მწვრთნელი და აღმასრულებელი ვიცე-პრეზიდენტი ჯონ კალიპარიც კმაყოფილია ამ კონტრაქტით: „გახარებული ვარ კასელის დატოვებით. იგი ლიდერია და თამაშზე გავლენის მოხდენა შეუძლია. სემი ტალანტია, მაგრამ მისი წვრთნა საკმაოდ იოლია. რაც მთავარია, ჭირვეული არ არის“.

კასელი 1993 წლის დრაფტში ამოირჩია „ჰიუსტონ როკიტსმა“. 1994 და 1995 წლებში იგი ამ გუნდის შემადგენლობაში ნბა-ს ჩემპიონი გახდა. შემდეგ კი ის მოხდა, რაც ზემოთ მოგახსენეთ.

## კალიპარის ყველა ცოდვა გაუხსენეს

„ნიუ ჯერსის“ მწვრთნელი ჯონ კალიპარი ახალი გუნდის ჩამოყალიბება — შეთამაშებითაა დაკავებული, პარალელურად კი ერთი ცოდვა ამოუტივტივდა.

20 მარტს კალიპარი ესაუბრებოდა მავან ჟურნალისტს. მათ საუბარში ჩაერთო „ნიუარკ სტარ ლიჯერის“ მიმომხილველი, მექსიკური წარმოშობის ამერიკელი დან გარსია, რომელმაც მწვრთნელს სტრატეგია გაუკრიტიკა. ცხარე კამათი 10 წუთს გაგრძელდა, რომლის ბოლოსაც კალიპარიმ მიმომხილველს „მექსიკელი იდიოტი“ უწოდა. მოგვიანებით მწვრთნელმა ბოდიშიც მოიხადა, მაგრამ ნბა-მ იგი 25 ათასი დოლარით დააჯარიმა.

საქმე ყველას ჩაფარცხული ეგონა, მაგრამ გარსიას ადვოკატმა კენეტ მაკლეიმ გუშინწინ განაცხადა, რომ საქმეს ნიუ ჯერსის შტატის უზენაეს სასამართლოში გადაიტანს და საკომპენსაციოდ 5 მილიონ დოლარს მოითხოვს. ადვოკატის თქმით, გარსია ამხელა ფულს „განსაკუთრებული შეურაცხყოფისა და ემოციური სტრესისთვის“ ითხოვს.

ჰოკეი

# ლემიეს თუ დაიმატებს...

„კოლორადო ეველანშის“ მწვრთნელი მარკ კროუფორდი ნაგანოს 1998 წლის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე კანადის ნაკრების მწვრთნელად დაინიშნა. 36 წლის კროუფორდმა 1996 წელს „კოლორადოს“ სტენლის თასი მოაგებინა, ხოლო 1995 წელს ნჰლ-ს წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს.

კროუფორდი ოლიმპიურ რანგში ბობ კლარკმა წარადგინა. მანვე თქვა, კარგი იქნება, თუ კანადის ოლიმპიურ გუნდს მარიო ლემიე გააძლიერებსო. მოგეხსენებათ, ლემიემ ამ სეზონის დამთავრებისთანავე ჰოკეის თავი მიანება. კლარკი მაინც იმედიანადაა და ამბობს: „მარიოს ველაპარაკე და გადაჭრით უარი არ უთქვამს. მას კიდევ შევეხმიანებით და თუ დავითანხმეთ, აუცილებლად გამოვიძახებთ შეკრებაზე და ფორმის აღდგენის საშუალებას მივცემთ. ვფიქრობ, ლემიეს დაბრუნება რეალურია“.

ჩოგბურთი

# ნინოს დაქანცული ღიმილი

შესარჩევი ასპარეზობის გზით ძირითად ტურნირში მოხვედრილთაგან ნინო ლუარსაბიშვილს სანდრა კლაინოვას სახით უდავოდ ყველაზე ძლიერი მეტოქე ერგო. 19 წლის პრაღელი სპორტსმენი, რომელიც უკვე მესამე წელია, WTA-ს ტურნირებში მონაწილეობს, ჩეხეთის ქალთა ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავად ითვლება. ეს რომ მართლაც ასეა, თუნდაც იმით დასტურდება, რომ პრაღის 160 000-დოლარიანი ტურნირის დაწყებამდე ორიოდე დღით ადრე, ფედერაციის თასის გათამაშების ნახევარფინალში (ჩეხეთი — ჰოლანდია), კლაინოვა მსოფლიოს მეორე ჩოგან იანა ნოვოტნასთან ერთად თავისი ქვეყნის ღირსებას იცავდა და მხოლოდ დაძაბულ ბრძოლაში დათმო შეხვედრა ბრენდა შულც-მაკარტისთან — მსოფლიოს მე-14 ჩოგანთან და პრაღის ტურნირში პირველ ნომრად განთესილთან.

ამოდენა შესავლის შემდეგ მკითხველმა შეიძლება იფიქროს, ნინო ლუარსაბიშვილმა ნამდვილად წააგო და კლაინოვას მისამართით ეპითეტების თქმა ავტორს ქართველის მარცხის გასამართლებლად დასჭირდაო. ვინც ასე ჩათვალა, ახლავე მოვახსენებ, რომ შეცდა: ნინომ თავისი მეტოქე დაამარცხა — 3:6, 6:2, 6:2.

პრაღის „შტვანიცეს“ საჩოგბურთო სტადიონზე გამართულ ამ შეხვედრას პირველი წრის მატჩებიდან ყველაზე მეტი მაყურებელი ჰყავდა: იანა ნოვოტნას არყოფნაში ტურნირის მასპინძელთა მთავარ იმედად, დენიზა ხლადკოვასთან ერთად, სწორედ ლუარსაბიშვილის ოპონენტი ითვლებოდა. გულშემატკივრები, ცხადია, ყოველმხრივ ცდილობდნენ კლაინოვას გამხნევებას, ზოგჯერ საყოველთაოდ გავრცელებულ ჯენტლმენურ კანონებსაც ივიწყებდნენ, მაგრამ ნინოს, საბედნიეროდ, მტკიცე ნერვები აღმოაჩნდა.

არადა, პირველი სეტი მასპინძლის უპირატესობით წარიმართა. 3:3-მდე მეტოქეები საკუთარ მოწოდებებს იგებდნენ, მერე კი კლაინოვამ ბრეიკის გაკეთება მოახერხა და მომდევნო ორი გეიმიც საკმაოდ იოლად მოიგო — 6:3.

ლუარსაბიშვილს არც მეორე სეტის დასაწყისი უქადდა რაიმე სასიკეთოს. თითქმის უბრძოლველად დათმო რა პირველი გეიმი, მეორეში საკუთარ მოწოდებაზე 0:30-ს აგებდა და — ცოდვა გამხელილი ჯობია — ყველას გვაფიქრებინა, შეხვედრის ბედი გადაწყვეტილიაო. ეტყობა, კლაინოვამაც ასე განსაჯა და დაისაჯა კიდეც: ნინომ არა მარტო თავისი მოწოდება მოიგო, არამედ შემდეგ გეიმში ბრეიკი გააკეთა და დაწინაურდა — 2:1. კლაინოვამ ამას რიბრეიკით უპასუხა და ანგარიში გაათანაბრდა — 2:2.

ეს იყო და ეს. ამის შემდეგ სცენაზე მყოფი ორი მსახიობიდან ერთი მთავარ როლს ასრულებდა, მეორე კი იძულებული შეიქნა, მეორეხარისხოვანს დაჯაბულებოდა. ტრიბუნაზე მჯდომი ოთხიოდე ქართველის გასახარად, მთავარი როლის შემსრულებლად ჩვენი თანამემამულე მოგვევლინა. ლუარსაბიშვილმა დამაჯერებლად მოიგო ზედიზედ ოთხი გეიმი (6:2) და მატჩის ბედის გადაწყვეტა მესამე სეტს მიანდო.

გადამწყვეტი პარტიის დებიუტი სწორედ კლაინოვას უპირატესობით წარიმართა. მან ჯერ თავისი მოწოდება მოიგო, შემდეგ კი ლუარსაბიშვილისაც და დაწინაურდა — 2:0. მესამე გეიმში, როცა ანგარიში მასპინძლის სასარგებლოდ 40:0 გახდა, კლაინოვას უცებ ნერვებმა უმტყუნა: მოწოდებისას დაშვებულ ზედიზედ ორ ორმაგ შეცდომას ლუარსაბიშვილის საუცხოო თამაში დაერთო და გეიმის ბედიც ამ უკანასკნელის სასარგებლოდ გადაწყდა. როგორც მოგვიანებით გაირკვა, ეს იყო გადამწყვეტი მომენტი არა მხოლოდ ამ გეიმში, არამედ მთელს შეხვედრაში.

ნინოს თამაშის სადავეები ხელიდან აღარ გაუშვია და დამაჯერებლად მიიყვანა საქმე გამარჯვებამდე — 6:2.

მატჩის შემდეგ, მილოცვაზე პასუხად, ნინომ დაქანცული ღიმილით მომიგო, ორივემ ცუდად ვითამაშეთ, უამრავი შეცდომა მოგვდიოდაო. მე კი გავიფიქრე, თუ სპორტსმენი ასეთი გამარჯვების შემდეგ საკუთარი თამაშით უკმაყოფილოა, დასახულ მიზანს ადრე თუ გვიან აუცილებლად მიაღწევს-მეთქი.

მერვედფინალში ლუარსაბიშვილი სამხრეთაფრიკელ ჯოანეტ კრუგერს ხვდება, რომელმაც პირველ წრეში იოლად სძლია ბელარუს ოლგა ბარაბანშჩიკოვას — 6:3, 6:2. ეს შეხვედრა ხუთშაბათს გაიმართება, ოთხშაბათს კი — როცა ამ მასალას რედაქციაში გადმოვცემ — ნინოს დასვენების დღე აქვს.

„დედ-მამის დანაბარებს შევასრულებ და პრაღას დავათვალიერებ. ვიცი, რომ ულამაზესი ქალაქია, მაგრამ ჯერჯერობით ვერაფრის ნახვა ვერ მოვასწარი“, — მითხრა მსოფლიოს 155-ე ჩოგანმა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, მალე საუკეთესოთა ასეულში დიამკვიდრებს ადგილს. მერე კი...

მერე ვნახოთ.

**დავით ძაძაბაძე**
**პრაღა, 16 ივლისი**

ჩოგბურთის ახალი ამბები ჩოგბურთის ახალი ამბები

**შტუტგარტი. მერსედესის თასი. ტურნირი ტარდება თიხნარზე. საპრიზო ფონდი 1,04 მილიონი დოლარი.**

მერსედეს ზე-ცხრის მორიგ ტურნირში მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელთა ათეულიდან 6 მონაწილეობს და მილიონიანმა საპრიზო ფონდმა არც სხვა ბობოლები დატოვა გულგრილი ჯერჯერობით ადგილობრივი სპორტსმენები დიდი წარმატებით ვერ დაიკვეხნიან. ორშაბათს და სამშაბათს 6 მათგანი გავარდა. როლან გაროსის ჩემპიონმა ბრაზილიელმა გუსტავო კერტენმა მასპინძელთა მარცხში თავისი წვლილი შეიტანა. მან იენს კნიპშილდს მოუგო 6:7, 6:4, 6:4. მანამდე ბრაზილიელმა ფერნანდო მელიგენიმ ალექს რუდეულესკუ გააგდო 6:1, 6:3; ესპანელმა ალექს კორეჩამ (3) — მარკ გელნერი 7:5, 6:1; სამხრეთ აფრიკელმა ვეინ ფერერამ (14) — მარტინ სინერი 3:6, 6:0, 6:4; უიმბლდონის იუნიორთა ფინალისტი დანიელ ელსინერი კი — შვედმა მაგნუს ლარსონმა 6:3, 6:4. უიმბლდონის მეოთხედფინალისტმა ნიკოლა კიფერმა სლოვაკ კაროლ კუჩერასთან მატჩის დასაწყისში ფეხი იღრძო და ბორის ბეკერმა მიუნხენში თავის ექიმთან გააქანა.

ოთხშაბათს ტურნირში სხვა ბობოლებიც ჩაერთვნენ და სენსაციებმაც არ დააყოვნა. ესპანელმა ალბერტო პორტასმა პირველად განთესილი შარშანდელი გამარჯვებული — ავსტრიელი ტომას მუსტერი იმსხვერპლა 6:4, 7:5. ბეზერმა შვედმა მაგნუს ლარსონმა კი მეცამეტედ განთესილი გაინგლისელებული კანადელი გრეგ რუზეცკი გააგდო 7:6, 6:7, 6:4.

სხვა შეხვედრები: გალო ბლანკო (ესპანეთი) — ჰიშამ არაზი (მაროკო) 7:5, 7:6; ფრანსისკო კლავეტი (ესპანეთი) — მაგნუს გუსტაფსონი (შვედეთი) 6:3, 1:6, 6:1; ხავიერ სანჩესი (ესპანეთი) — მაგნუს ნორმანი (შვედეთი) 6:3, 7:6; სერხი ბრუგერა (4. ესპანეთი) — ფილიპ დე ვულფი (ბელგია) 7:6, 3:6, 6:1; ფელიქს მანტია (10. ესპანეთი) — ფერნანდო მელიგენი 6:4, 6:4.

**ვაშინგტონი. „ლეგ მეისონ თენის ქლასიქი“. ტურნირი ტარდება ჰარდზე. საპრიზო ფონდი 675 ათასი დოლარი.**

ვაშინგტონის ტურნირზე შტუტგარტისაზე მცირე ფულს არიგებენ და საუკეთესო ჩოგბურთელებსაც არ შეუწუხებიათ თავი ოკეანის გაღმა გადასაბარგებლად. პირველად განთესილი აქ მსოფლიოს მეორე ჩოგანი მაიკლ ჩანგია, შემდეგი კი — მსოფლიოში 21-ე ჩეხი პეტერ კორდა.

პირველ წრეში ჩანგი კლასიფიკაციაში 155-ე ადგილზე მყოფ მექსიკელ ლუის ერერას ხვდებოდა. მატჩი ძალზე დაძაბული გამოდგა. მეორე სეთში ამერიკელმა 4 მათჩ-ფოინთი ვერ გამოიყენა და თაი-ბრეიქზე დამარცხდა კიდეც. მესამე ხელში მათჩ-ფოინთები უკვე მექსიკელს ჰქონდა, იმანაც გაანიავა და საქმე კვლავ თაიბრეიქამდე მივიდა. იქ კი ჩანგის გამოცდილებამ თავისი ქნა — 6:3, 6:7, 7:6. პეტერ კორდას საკუთარი თავისთვის პრობლემები არ შეუქმნია. მან სამხრეთაფრიკელ დეივიდ ნეინკინს ორ სეთში აჯობა 6:4, 6:2. აი, მეათედ განთესილი, სომხეთის სამზემთვარეო სარგის სარგსიანი კი ამერიკელ სთივ ქემფბელთან დამარცხდა 4:6, 3:6.

სხვა შედეგები: რაინერ შუტლერი (გერმანია) — ჯასთინ გიმელსთობი (აშშ) 6:3, 6:3; ბრეთ სთივენი (11. ახალი ზელანდია) — ლიუქ იენსენი (აშშ) 7:6, 6:3; მაიქლ ჯოისი (აშშ) — ნევილ გოდვინი (15. სამხ. აფრიკა) 7:6, 7:6; ლიუქ სმითი (ავსტრალია) — ლიონელ რუ (6. საფრანგეთი) 6:3, 6:3; ჯეისონ სთოლთენბერგი (5. ავსტრალია) — ანდრეი ჩერკასოვი (რუსეთი) 6:2, 6:3; სქოთ დრეიპერი (ავსტრალია) — ჟერარ სოლვი (საფრანგეთი) 7:5, 6:2.

**გაიოზ ბერიძე**

## საქართველოს პირველობა

**„ა“ ჯგუფის XI ტური**

პარასკევი, 11. 07. ავლაბარი. ასკ 18 (6) (2ლ: გაფრინდაშვილი, მინაშვილი; გ: აბუსერიძე; 2ს: ცოფურაშვილი) — გუმარი 43 (19) (7ლ: ობოლაძე 2, მაისურაძე, ჯანელიძე, ზურ. პინაიშვილი, მათიაშვილი, ბუგიანიშვილი; 4გ: მოდებაძე 3, თოფურიძე). მსაჯი დავით კილასონია

შაბათი, 12. 07. ვაკე. ქორები 18 (9) (5ს: კვინიხიძე; ა: წეველიძე) — რუსთავის აზოტი 24 (18) (2ლ: ძოწენიძე, ფირცხალავა; გ, 3ს, ა: ე. ძაგნიძე). მსაჯი ლევან მგელაძე

ყოჩები — აიას მატჩი ქუთაისელთა თხოვნით გადაიდო. ასკ — ყოჩების გამოტოვებული შეხვედრა 22 ივლისს გაიმართება. დღეს თამაშობენ აზოტი — ასკ, ხვალ კი გუმარი — ყოჩები

**„ბ“ ჯგუფი**

დინამოს შევარდენთან მიესაჯა წაგება. თბილისი — შევარდენის მატჩი წვიმის გამო გადაიდო და ხვალ გაიმართება

„სარბიელში“
რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90

ბებერი „ყოჩები“ — ჰეიშვილი და ლეჟავა ნორჩებს პლეი-ოფშიც წაუძღვებიან

ბადრი კეთილაძის ფოტო



| ა ჯგუფი | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აზოტი (რ) | 9 | 7 | 1 | 1 | 178: 73 | 22- 1 | 14 |
| ყოჩები | 7 | 6 | 1 | 0 | 177: 67 | 18- 4 | 13 |
| ქორები | 9 | 6 | 0 | 3 | 184:100 | 21- 6 | 12 |
| აია-პეი (ქ) | 6 | 3 | 0 | 3 | 133: 89 | 15- 7 | 6 |
| ასკ | 9 | 3 | 0 | 6 | 117:245 | 14-37 | 6 |
| გუმარი | 9 | 3 | 0 | 6 | 165:169 | 20-17 | 4 |
| გელათი (ქ) | 9 | 0 | 0 | 9 | 30:242 | 2-38 | -3 |
| **ბ ჯგუფი** | **თ** | **მ** | **ფ** | **წ** | **ბ** | **ლ** | **ქ** |
| შევარდენი | 5 | 5 | 0 | 0 | 100: 14 | 15- 1 | 10 |
| დინამო | 6 | 2 | 2 | 2 | 58: 80 | 5- 6 | 5 |
| უნივერსიტეტ - ლელო | 6 | 1 | 2 | 3 | 73:120 | 2-12 | 4 |
| თბილისი | 5 | 1 | 0 | 4 | 58: 75 | 3- 9 | 1 |

## ვაშაა, გაირკვა!

მაჩანჩალა სარაგბო ქვეყნების უდღეური და უწესო გაერთიანება ფირა რა ხვითოცაა, ქართულმა სარაგბო თემმა ამ გაზაფხულს თავის თავზე გამოცადა. ამის მერე ნუ გაგვიკვირდება, თუ კავკასიაში ფაქსითაც კი 10 ივლისსლა მოაღწია თამაშთა იმ განრიგმა, ხორვატიაში სამი კვირით ადრე, ფირა-ს მორიგ კონგრესზე დიდი ვაჭრობის საგანი რომ ყოფილა.

ფაქსი საქართველოს რაგბის კავშირის ოფისში შპს „მსოფლიო თასიდან“ მოვიდა, რადგან თამაშთა რიგი და თარიღები თუმც ფირა-ელთა თათბირზე გადაწყდა, განრიგი 1999 წლის მსოფლიო თასის შესარჩევი შეჯიბრის მეორე ეტაპის პირველი ევროპული ქვეჯგუფისაა.

აი, ეს ნანატრი კალენდარიც:

12. 10. 1997 საქართველო — ხორვატია; 18-19. 10 დანია — საქართველო; 1. 11 იტალია — დანია; 22. 11 ხორვატია — რუსეთი

11. 04. 1998 იტალია — საქართველო; 18. 04 რუსეთი — იტალია; 2. 05 რუსეთი — დანია; 16. 05 დანია — ხორვატია; 20. 05 საქართველო — რუსეთი; 30. 05 ხორვატია — იტალია

ჯგუფიდან შემდეგ — ბოლო შესარჩევ ეტაპზე ორი მოწინავე გავა. უეჭველია, რომ ამათ გამოსავლენად 18 აპრილისა და 20 მაისის თამაშები გადამწყვეტი იქნება. ღმერთმა დაგვიფაროს, რომ ბოლო თამაშის წინ იმის თვლა მოგვიწიოს, თუ რამდენი ქულის სხვაობით გვეჭირება რუსეთის ძლევა.

## [illegible]

### [illegible]

არაბები და ებრაელები ნათესაობის მიუხედავად რომ მტრობენ ერთმანეთს, ახალი ამბავი სულაც არაა.

ალბათ შემთხვევითაა, რომ სრულიად ებრაელთა ოლიმპიადა, რომელსაც მაკაბიადა ქვია, და სრულიად არაბთა თამაშები პარალელურად მიმდინარეობს. პირველს თელ-ავივი მასპინძლობს, მეორეს — ლიბანის დედაქალაქი ბეირუთი.

ერთგანაცა და მეორეგანაც საგულისხმო ამბები მოხდა. როგორც მოსალოდნელი იყო, ქუვეითმა არაბთა საძმოდან ერაყის გარიცხვა მოითხოვა და წადილიც აისრულა. ახლა სადამ ჰუსეინის დესპნები ნემსის ყუნწში ძვრებიან, როგორმე რომ ჩაებან შეჯიბრში, რომელშიც ჯერ მაროკოელებმა შეუბერეს, მერე კი გამარჯვებათა ესტაფეტა ყატარმა გადაიბარა.

ებრაელებს ტრაგედია შეემთხვათ. ორშაბათს ავსტრალიის დელეგაცია რამათ-განის სტადიონს საზეიმო გახსნაში სამონაწილეოდ რომ მიეახლა, ჩაექცა ათმეტრა ხიდი, ისრაელის არმიას სახელდახელოდ რომ აეგო ალუმინისა და ხის მორებისაგან. ბეჩავი სპორტსმენები თავთხელ მდინარეში ჩაცვივდნენ. 64 კაცი დაშავდა, შვიდი — მძიმედ, 10-ბურთულიანი ბოულინგის მოთამაშე ორი ვაჟი კი დაიღუპა.

დაზარალებულებს უმალ 20 სასწრაფო და ვერტმფრენი მიაშველეს. გაირკვა, რომ ტერორისტები არაფერ შუაში ყოფილან. არანაკლებ სავალალო იყო ისიც, რომ ორგანიზატორებმა ტრაგედია დროულად ვერ შეიტყვეს და ზეიმი განრიგის შესაბამისად ჩაამთავრეს. რომ გაცხადდა ყველაფერი, სამშაბათის სპორტული პროგრამა ოთხშაბათისთვის გადაიდო.

# ეგ პლეი-ოფიღა აკლდათ!

სად ყოფილა, რომ მონაწილე გუნდების მწვრთნელები ადგენ-აზუსტებდნენ შეჯიბრების ფორმულას და ისიც გაგანია სეზონში? — სადა და ჩვენს მზიურ ქვეყანაში!

სიტუაცია აბსურდულია. პირველი ეტაპის პირველი წრე რომ ჩამთავრდა, ყველამ შეატყო, რომ „ყოჩები“ ჩემპიონობის მთავარი პრეტენდენტები არიან. ჰოდა, „ა“ ჯგუფს შემორჩენილი ექვსი გუნდის მწვრთნელთაგან ოთხმა შეჯიბრების მესამე ეტაპად ოთხგუნდა პლეი-ოფის დადგენა მოიწადინა, ჩემპიონობის შანსი ზამთრის პირსაც რომ ქონოდა, და ხმათა უმეტესობით თავისი კიდეც გაიტანა.

ვითარებას აუარესებს ის, რომ პლეი-ოფის მომხრეთა უმეტესობას მისი გამართვის დეტალების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს. სახელდობრ, ვერ გადაუწყვეტია, თუ ნახევარფინალთა და ფინალის გამარჯვებული როგორ უნდა გამოვლინდეს: ფეხბურთის ყაიდაზე — ორი მატჩის ანგარიშთა ჯამით თუ კალათბურთულ-ჰოკეურად, სადაც სერია ერთი გუნდის მიერ ამდენი და ამდენი (ჩვენს შემთხვევაში — ორი) მატჩის მოგებამდე გრძელდება.

არათუ ვერ გადაუწყვეტია, ისიც ვერ გაურკვევია, რომ ეს ორი მეთოდი პრინციპულად განსხვავდება ერთმანეთისგან. მთავარი აქ ისაა, რომ კალათბურთულ-ჰოკეურ ვარიანტში უნდა გამოირიცხოს ფრე, ეს კი მიამიტურ, სამოყვარულო რაგბს ყოველთვის პრობლემად უჩნდა.

ამ საკითხის გარკვევა საშური საქმეა, თორემ ჩვენი რაგბის კავშირი მორიგ დიდ შარში გაეხვევა. ჩვენდათავად შევნიშნავთ, რომ მსოფლიო რაგბში მსგავსი ნოვატორობით ოდენ საბჭოელები გამოირჩეოდნენ. მეტიც, ორ მოგებამდე თამაში სხვა არაფერია, თუ არ სსრკ-ის 1987 წლის გაგანია ჩემპიონატში მაშინდელ „გოს-ტრენერ“ ედგარ თათურიანის ჩარევის გადმომღერება. მაშინ რუსებმა პლეი-ოფი ქუთაისის „მშენებლის“ საჩემპიონო მარშის შესაწყვეტად ციმციმ გამოიგონეს, მაგრამ ბოლოს მაინც მწარედ დამარცხდნენ.

ასეა, ასე, ქართველებს ეგზომ გვიყვარს რუსული რეტრო!

„ყოჩების“ მდევარმა „აზოტმა“ სტუმრად პრინციპული შებმა მოუგო „ქორებს“ და დაწინაურდა. „ყოჩებს“ ვერ ეწვია „აია“. მისი მოთამაშეები 6 ივლისს ვაკეში სტუმრობის შემდეგ დაიწამლნენ და შემდეგი ტურისთვის დროით ვერ მოკეთდნენ.

ვიდრე პლეი-ოფი გაიმართებოდეს, „ა“ ჯგუფი შემოდგომაზე მეორე ეტაპის კიდევ ორ წრეს გამართავს. როდისლა მოესწრება თავად ეგ პლეი-ოფი, ცოტა გაუგებარია. თუ რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტ ზაზა ქასაშვილს დაეჯერება, ეროვნული გუნდი ოქტომბრიდან დიდ მისვლა-მოსვლაში იქნება. ჯერ დანიაში გამგზავრებაა დაგეგმილი, ნოემბერში — ჩეხეთში, დეკემბერი — არგენტინაში (!!), ნაახალწლევს — ბრიტანეთის რომელიმე კელტურ ქვეყანაში. ამდენი საერთაშორისო ღონისძიების გადამკიდე ვინძლო ისე მოხდეს, რომ ჩემპიონატი გაისად დასრულდეს.

ასე 1994 წელს უკვე ყოფილა. გამოცდილება საკმაო გვაქვს!

საჩოთირო ვითარებაა „ბ“ ჯგუფშიც. ლოგიკის თანახმად იქედან რამდენიმე გუნდი უნდა აღზევდეს. თუ რამდენი, გასარკვევია. თუ რა უნდა აკეთონ ამჯგუფელებმა შემოდგომაზე, ესეც გადასაწყვეტია. ალბათ, ისევ ერთმანეთთან მოუწევთ ორ წრედ თამაში. ცხადი და ნათელი კი ოდენ ისაა, რომ საწევროს დაგვიანებით გადამხდელი „შევარდენი“ 1999 წლამდე ვერ იხილავს უფროს ჯგუფს. სამაგიეროდ, წლევანდელი გათამაშებიდან უკვე მოიხსნა ორი გუნდი, რომელთაც საწევრო დროით შეიტანეს.



დღეს სინის XV გათამაშება უნდა ყოფილიყო, მაგრამ სახვალიოდ გადაიდო. ვაკეში თუ რა დროს დაიწყება მფლობელ „ყოჩებისა“ და მოცილე „გუმარის“ მატჩი, რაგბის ერთგული ქომაგი თავადაც იოლად დაასკვნის.

სინი „ყოჩების“ კია, მაგრამ როგორც კლუბის თავკაცმა თემურ გაფრინდაშვილმა გაგვანდო, იგი თურმე „გუმარის“ მოთამაშე შავლეგ ჯანელიძესთან ინახება. ამ უცნაურობის მიზეზი წმინდა ქართულია: 7 ივნისს „ყოჩებმა“ „გუმარი“ 31:12 რომ ძლიეს და სინი წაგვარეს, მატჩისშემდგომი წვეულებიდან ჯილდო ძმურად მიაბარეს მანქანიან მეტოქეს. უთუოდ ამის გამო იყო, რომ 20 ივნისს, როცა „ყოჩებმა“ სინი „ქორების“ ხელყოფისაგან 15:12 დაიცვეს, ჯილდოს ადგილსამყოფელი დანამდვილებით არავინ იცოდა.

ახლა ისიც ვიკითხოთ, თუ რად გადაიდო სინის თამაში. საქმე ისაა, რომ საფრანგეთში მოღვაწე ვიცე-პრეზიდენტმა ქასაშვილმა სამშობლოში იახლა კლუბ „ბეზიესა“ და მაროკოს საშვიდკაცო ნაკრების მწვრთნელი კლოდ სორელი. ამ გულღია ფრანგმა ქართველ მწვრთნელებს ერთი კვირა უტარა სემინარები, ვაკის სტადიონზე კი რამდენიმე საჩვენებელი ვარჯიში და მატჩი გამართა. მათში ბარემ 60 უკეთესი ქართველი მორაგბე მონაწილეობდა. რაკი ფრანგმა ინგლისური ვერ იცოდა, თარჯიმნობა ბავშვთა მწვრთნელმა და მოხალისე მსაჯმა, განათლებით ალმოსავლეთმცოდნე გია ჭუმბურიძემ იკისრა.

ამ სტუმრობის გამო საერთო აზრი ასეთია, რომ დიდი საქმე გაკეთდა. ბიჭები გადასარევად, ახალ ზელანდიურ ყაიდაზე აბურთავდნენ. დამოძღვრა მწვრთნელებსაც ძლიერ მოხდენიათ. როგორც „ბორჯღალოსანთა“ გადია გურამ მოდებაძემ შენიშნა, ფრანგის მოსაზრებები საკუთარი ტაქტიკური კრედოს დამამტკიცებელ საბუთად ფრიად გამოადგება.

ზაზა ფხაკაძე

დამკაბადონებლად ვეძებთ სპორტის მცოდნე, მოწესრიგებულ, მარდ, გემოვნებიან მეგაზეთე ვაჟ სპეციალისტს

ოპერატორად ვიწვევთ კომპიუტერული — ღცუკ-ენგშწზხჯ განლაგებით მბეჭდავ განათლებულ, ალღოიან, გაწაფულსა და ბეჯით ქალს. სპორტით დაინტერესება სასურველია, საზღვარგარეთის ელემენტარული გეოგრაფიის ცოდნა კი სავალდებულო

მსურველები შეგვეხმიანონ კვირას, სამშაბათს ან ხუთშაბათს, 13-დან 17 საათამდე



Picture: REUTERS

**ტელევიზია**

CNN INTERNATIONAL

ყოველდღე

2.30 და 11.30 მსოფლიო სპორტი (მ); 16.30 და 19.30 (11.30-ის გადაცემის გამეორება)

საზარდულმორჩენილი მეთიუ ბერქის დაბრუნება ერთობ მოუხდათ „ვოლაბებს“. სიდნეელმა 15 ნომერმა შესვენებამდე ლელო გაიტანა, მეორე ნახევარში კი კაპიტან ჯონ ილზისგან დამრტყმელობაც გადაიბარა

როიტერი სიდნეიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია
რედაქტორი
თამაზ მიგრიაული
სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის განყოფილება:
ლაშა გოდუაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, მამუკა კვარაცხელია, მერაბ მამულაშვილი, ონისე შინჯიკაშვილი
სხვა სახეობათა განყოფილება:
ავთანდილ გურასაშვილი, ერეკლე კიკილაშვილი, ილია მხეიძე, ლევან ჯავახიშვილი
ფოტორეპორტიორები:
გურამ დოლენჯაშვილი
ბადრი კეთილაძე
სტილისტები: მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
კომპიუტერული ცენტრი:
ინგა აკოფაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, ვანო კიკნაძე, ირმა მშვენიერაძე, ლევან ჩხეიძე, ბელა ხატიაშვილი, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208.
ტელეფონი: 39 48 29

# ორი კუროდღის მდევარნი

პროფესიონალიზმმა უამრავი პარადოქსი მოიტანა. ივლისის პირველ შაბათს „ბრიტანელი ლომები“ 13-მატჩა აფრიკულ ტურნეს რომ მორჩნენ, ამ გუნდის ინგლისური კონტინგენტი შინ კი არ გაფრინდა, არამედ სამშაბათ საღამოს ჩაფრინდა სიდნეის, სადაც შაბათს ახლად დაწესებული ქუქის თასისთვის შეება ავსტრალიის „ვოლაბებს“.

1963 წლიდან მოყოლებული ინგლისმა მერვედ ითამაშა ავსტრალიაში და მერვედვე წააგო. დეგლენვილის, გრინსთოქის, ქლარქისა და გარფორსის გარდა უკლებლივ ყველა პომი ნააფრიკალი იყო. გუნდს თავკაცობდა აყლაყუდა ჯეკ რაუელი, ვის გამოც მედიამ დიდი მსჯელობა გამართა, ესაო და ჯეკს აგვისტოში კონტრაქტი რომ გაუთავდება, იოლად შეელევიან, მის ნაცვლად კი ან ზელანდიის ოქლენდის მწვრთნელ გრემ ჰენრის დანიშნავენ, ან ავსტრალიის ექს-მოძღვარ ბობ დვაიერს, ამჟამად ინგლისის „ლესთერს“ რომა წვრთნის, ანაც „ლომების“ შოტლანდიელ მოძღვარ იენ მაკგიქანსო.

რაუელს გაექომაგა მასპინძელ „ვოლაბთა“ დამრიგებელი გრეგ სმითი, აქაო და დიდი სლემით ხუთი ერის პირველობის ორგზის მომგებ სპეციალისტზე ამგვარი ჭორაობა უზნეობააო. სმითის პოზიცია იოლი ასახსნელია, რადგან მასაც რაუელის გზას გაუყენებენ, თუ 26 ივლისს „ვოლაბები“ დაუძინებელ მტერს — ზელანდიის „ოლ ბლექსს“ მელბურნში ვერ ძლევენ.

სმითი დიდად შეურაცხყო ივლისის პირველ შაბათს ზელანდიისგან ავსტრალიის 30:13 ძლევამ. ამის გამო იყო, რომ ოთხი დედალი მორკინალი გამოცვალა. უკანა ხაზშიც მოხდა სამი შეცვლა — ტრავმებისა და ტრავმირებულთა მოკეთების გამო.

თამაში ავსტრალიამ უსიტყვოდ მოიგო. ინგლისი ერთთავად თავს იცავდა. საწყისი საათი ვერაფერი სანახაობა იყო. ბურთაობა ბოლო მეოთხედშიღა გახურდა, როცა ინგლისი დაიღალა და გატყდა. ოთხიდან ორი ლელო რაუელის რჩეულმა, კაპიტანმა ფილ დეგლენვილმა პირადად გაუშვა — მეტოქე ვერ შებოჭა.

ივაჟკაცა ნორჩმა ბენ თიუნმა. მეორე ლელოს გატანისას დეგლენვილი მან დაიფრინა, მესამეს დროს კი წინ თავად გაიჭრა, მერე კი გადასარევი პასი მიცა ჯორჯ გრეგანს.

თიმ ჰორანის 10 ნომრად დაყენებამ ბოლოსდაბოლოს გაამართლა. პირველი ლელოს გატანისას ექს-შუამარბმა ჯო როფი სხვა ფრთაზე ჩართო იერიშში, ამან კი იგივე დეგლენვილი დაიფრინა. მანამდე დოუსონმა და როდბერმა სასწაულად შებოჭეს ბერქი და ჰორანი და გუნდი ნაღდ ლელოებს გადაარჩინეს.

შაბათი, 12 ივლისი. სიდნეი. საბურთაო სტადიონი. 40 ათასი მაყურებელი

**ავსტრალია 25:6 ინგლისი**

(8:3). მსაჯი პედი ობრაიენი (ზელანდია)
ავსტრალია (ასუ ახალი სამხრეთი უელსი, ქვ ქვინზლენდი, კ კანბერა; * ახლები): ბერქი * ასუ; თიუნი ქვ, ლითლი * ქვ, პოლბექი * კ, როფი კ; ჰორანი ქვ, გრეგანი კ — კ. ბლეიდსი * ასუ, ფოლი * ქვ, მაკქენზი კ (ა. ბლეიდსი ასუ 66); მორგანი * ქვ, ილზი (კაპ) ქვ; მანუ * ასუ, რობინსონი კ, ქოქერი კ (ვილსონი ქვ 37-55; 75). — 4ლ: ბერქი (11), თიუნი (60), გრეგანი (63), ჰორანი (73); გ: ბერქი (60); ს: ილზი
ინგლისი: სთიმფსონი; ბენთლი, დეგლენვილი (კაპ), გრინსთოქი, ბიილი; ქეთი, დოუსონი (ჰიილი 41) — რაუნთრი, რიგანი, გარფორსი; რედმანი, შოუ; დალალიო, ჰილი (ქლარქი 68), როდბერი. — ს (31): სთიმფსონი; ა (55): ქეთი

ინგლისს აკლდნენ „ლომების“ კაპიტანი ჯონსონი, ბურჯი ლენარდი და შუამარბი გასქოთი. ამას რაუელი თხუთმეტეულში არ აყენებს, რადგან დეგლენვილი ურჩევნია.

ქუქის თასის საპასუხო მატჩი 15 ნოემბერს ლონდონში გაიმართება.

ნიკო ვეფხვაძე